საქართველოს ... ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 89 (2005) | სამშაბათი, 25 ივლისი, 1995 წელი | ფასი 300 000 კუპონი

ეროვნული ბიბლიოთეკა



„მინდა მჯეროდეს, რომ ამჯერად რუსეთის ხელმძღვანელობის ცდა—ჩვენთან და მსოფლიოს თანამეგობრობასთან ერთად წერტილი დაუსვას კონფლიქტებს—შედეგიანი იქნება“

— გასული კვირის ეკონომიკური მიმოხილვისას გასათვალისწინებელია რამდენიმე მომენტი: შეიქმნა სახაზინო სამსახური; ამბობენ, რომ მალე მიმოქცევაში შემოვა ქართული ლარი; საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებით გაუქმდა „საქმინხილწყალსა“ და ბორჯომის ჩამომსხმელ ქარხნებს შორის დადებული უკანონო ხელშეკრულება. ბორჯომის ორი ქარხანა — პირველი — 10.789.500 კუპონად გაყიდული, მეორე კი — 9.393.000 კუპონად — სახელმწიფოს დაუბრუნდა. დაისმება თუ არა იმ პირების პასუხისმგებლობის საკითხი, ვინც თავის დროზე ასეთი გადაწყვეტილება მიიღო? და, კიდევ: გუშინ ტელევიზიით გადაიცა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ თბილისის კონიაკის ქარხანა, რომელშიც 500 დეკალიტრი მხოლოდ ძველისძველი სპირტის მასალაა, სულ რაღაც 1.800.000 დოლარად გაიყიდა, რაც მიზერული თანხაა კონიაკის ქარხნისათვის...—ჟურნალისტ **ნატო ონიანის** ამ შეკითხვის პასუხად საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ—სახელმწიფოს მეთაურმა **ედუარდ შევარდნაძემ** თავის ტრადიციულ რადიოინტერვიუში განაცხადა:

— ეკონომიკური ცხოვრების ზოგიერთი მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური პარამეტრის დახასიათებასთან დაკავშირებით: ეროვნული ბანკის კუპონის კურსის იანვრიდან დაწყებული დადებითი ტენდენცია თანდათან უფრო მყარი გახდა. სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის მონაცემებით, წლის პირველ ნახევარში კუპონებით გამოხატული სამომხმარებლო ფასები მხოლოდ 14 პროცენტით გადიდდა, მაშინ როცა შარშან შესაბამის პერიოდში 15-ჯერ გაიზარდა. ინფლაციის საშუალო-თვიურმა ტემპმა 2,8 პროცენტი შეადგინა შარშანდელი პერიოდის 56 პროცენტის ნაცვლად. პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ ინფლაცია შეჩერებულია. თუ ტემპი შევინარჩუნეთ, ვფიქრობ, ამ მოვლენის შედეგები უახლოეს ხანებში ყველა ოჯახისათვის საგრძნობი იქნება. მართალია, რუბლებით გამოხატული ინფლაციის ტემპი გაცილებით მაღალია, თვეში დაახლოებით 10 პროცენტი, მაგრამ ეს, ძირითადად, აიხსნება ამ ვალუტის გაუფასურებით თვით რუსეთში. ამავე დროს, საყურადღებოა კომიტეტის ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ წინა წელთან შედარებით ივნისში სამომხმარებლო ბაზარზე, სადაც, ძირითადად, რუბლი მოქმედებდა, სასურსათო საქონლის ფასების შემცირების ტენდენცია გამოიკვეთა (ვლაპარაკობ ტენდენციაზე და არა რაღაც რევოლუციურ მოვლენაზე) ვიმეორებ, შემცირება უმნიშვნელოა, მაგრამ მაინც ძალიან საგულისხმო.

პირველი აპრილიდან გაზის ფასი 35 პროცენტით შევამცირეთ, ელექტროენერგიისა — 25 პროცენტით. პირველი ივლისიდან ელექტროენერგიის ფასი განახევრდა, უმნიშვნელოდ, მაგრამ, მაინც გაიზარდა ხელფასები საბიუჯეტო სექტორში. შემცირდა საგარეო ვაჭრობის დეფიციტი გასული წლის 87 მილიონი დოლარიდან 15 მილიონ დოლარამდე, ესეც ერთგვარი სიმპტომია.

თანდათანობით ფართოვდება იმ მოქალაქეთა რიცხვი (ჯერჯერობით ნაადრევია პროცენტებისა და შეფარდებების დასახელება), რომლებიც ცხოვრების საშუალო დონეს უახლოვდებიან. მიმაჩნია, რომ ეს ტენდენცია უკვე შეუქცევადი გახდა.

რესპუბლიკის საგადასახადო ინსპექციის ინფორმაციით, მიმდინარე წლის ივლისში რესპუბლიკის მასშტაბით, პრაქტიკულად, შენარჩუნებულია ექვს თვეში მიღწეული ბიუჯეტის შემოსავლის ზრდის ტემპი. ივლისის დამდეგიდან ბიუჯეტში საერთო შემოსავალმა თითქმის 7 ტრილიონი კუპონი შეადგინა, რაც მაისის თვის მაჩვენებელს 600 მილიარდი კუპონით აღემატება. თუმცა, ფინანსთა სამინისტროს მიაჩნია, რომ საკონტროლო მაჩვენებლების მისაღწევად ბიუჯეტში საკუთარი შემოსავლების რიცხვის ტემპი დაჩქარებას საჭიროებს.

ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, დადებითი ტენდენცია შეინიშნება გრანტებით შემოსული პროდუქტების რეალიზაციით მიღებული შემოსავლის მობილიზაციის საქმეში. გახსოვთ, ჩემი სერიოზული შენიშვნები პურპროდუქტების კონცერნისა და ზოგიერთი სხვა ორგანიზაციის მისამართით. ახლა ვითარება უმჯობესდება, როგორც ივლისის განვლილი 21 დღის მაჩვენებელი მოწმობს, მარტო ამ პერიოდში რესპუბლიკურ ბიუჯეტში ჩაირიცხა 5 ტრილიონი კუპონი, რაც წინა მთელი თვის მაჩვენებელთან შედარებით 81 პროცენტით მეტია.

1995 წლის 20 ივლისის ჩათვლით (ესეც საყურადღებო დეტალია) საბაჟო დეპარტამენტის სისტემიდან ბიუჯეტში შეტანილია 2.800.000 ამერიკული დოლარის ეკვივალენტის სხვადასხვა ვალუტა. მათ შორის, პირველ კვარტალში 1.150 ათასი დოლარი, მეორეში — 1.520 ათასი, ხოლო ივლისის 20 დღეში — 202 ათასი დოლარი.

შეგახსენებთ, რომ შარშან შვიდ თვეში მთლიანად ბიუჯეტში შეტანილი იყო 213 ათასი დოლარი, ანუ თითქმის იმდენი, რამდენიც წლეულს მხოლოდ ივლისის თვეში შემოვიდა. საბაჟო დეპარტამენტს, ისევე როგორც სხვა სამსახურებს — საგადასახადო ინსპექციასა და სხვებს, კიდევ დიდი რეზერვები აქვთ. ბოლო უნდა მოეღოს პროდუქციის აღურიცხავად შემოტანა-გატანას, ყველაფერი მკაცრად უნდა იყოს რეგისტრირებული. ეს განსაკუთრებით ეხება სიგარეტს (როგორც ხედავთ, იმდენი სიგარეტი შემოდის, რომ მან თითქმის წალეკა ქვეყანა). ამ სფეროში აღრიცხვის საქმეში სრული განუკითხაობაა: სიგარეტი სპეციალური თვითმფრინავებით ჩამოაქვთ და ეს თვითმფრინავებიც კი არ არის რეგისტრირებული. მოვიდა დრო, რომ საბაჟო დეპარტამენტმა თავისი საქმე აკეთოს წინააღმდეგ შემთხვევაში (მიუხედავად იმ დადებითი ძვრებისა, რომელთა შესახებაც ვილაპარაკე) შეიძლება უსიამოვნებას წავაწყდეთ.

წინა კვირაში თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის მორიგ ვაჭრობაზე კომერციული ბანკების მოთხოვნა დოლარზე კვლავ მაღალი იყო. ეს ძალიან საგულისხმო და მისასალმებელი ტენდენციაა. ბირჟის ბრუნვამ 2,5 მილიონი დოლარი შეადგინა. კურსი კვლავ სტაბილურია: ერთი დოლარი — 1.300 ათასი კუპონი. რაც შეეხება რუსული რუბლის შეფარდებას, აქაც დიდი ცვლილება არ არის: ერთი რუსული რუბლი — 220 კუპონი..

ედუარდ შევარდნაძის 24 ივლისის რადიოინტერვიუ

ფინანსურ სტაბილიზაციასთან ერთად ქვეყნის ეკონომიკის რეფორმების მაგისტრალური მიმართულებაა სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია და აქციონირება. ამ საკითხს კვლავ მივაპყრობ ყურადღებას, რადგან მიმაჩნია, რომ პროცესები შეუქცევადი უნდა იყოს. სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მონაცემებით, 1995 წლის 1 ივლისისათვის საპრივატიზაციოდ განკუთვნილი 7.800 ობიექტიდან პრივატიზებულია 4.400 ანუ 56 პროცენტი. 1.019 საწარმოდან, რომლებიც სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნას ექვემდებარებიან, დღეისათვის რეგისტრირებულია 800 სააქციო საზოგადოება. საკუთრების ტრანსფორმაციის ეს პროცესები, პრაქტიკულად, ერთი წლის მანძილზე განხორციელდა პრივატიზაციის თაობაზე სახელმწიფოს მეთაურის ცნობილი ბრძანებულების მიღების შემდეგ. დაფუძნებულ სააქციო საზოგადოებებში მიმდინარეობს საწარმოს მუშაკებისათვის შეღავათიანი აქციების განაწილებისა და გამოსყიდვის პროცესი. მიაქციეთ ყურადღება ზემოთქმულს: მოსახლეობის ის ფენა, რომლის ცხოვრების დონე საშუალოს უახლოვდება, თანდათანობით ფართოვდება, ამის ერთ-ერთი ელემენტი სწორედ აქციონირებასთან, პრივატიზაციასთან, ვაუჩერების მიღებასთან არის დაკავშირებული. აი, რეალური ციფრები, რომლებსაც ყველამ უნდა გაუწიოს ანგარიში და გააანალიზოს: 425 სააქციო საზოგადოებაში საწარმოს მუშაკებმა მიიღეს გადაწყვეტილება აქციათა საკონტროლო პაკეტის (ლაპარაკია 51 პროცენტზე) შეძენის შესახებ; ჩამოყალიბდა სამი საჰოლდინგო კომპანია; სულ დადგენილი წესით რეგისტრირებული და გამოშვებულია 700 მილიონ ცალზე მეტი აქცია, რომელთა საერთო ღირებულება მილიარდ ამერიკულ დოლარს აჭარბებს. წარმოიდგინეთ, რა სიმდიდრეა ეს მათთვის, ვინც ამას ჭკუით და გონებით გამოიყენებს და არ შეეცდება უცებ ხელის დაცლას. პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად, აქციების უფასოდ და 20 პროცენტის ფასდაკლებით მიღებით უკვე ისარგებლა 130 ათასზე მეტმა საწარმოს მუშაკმა (ესე იგი 130 ათასზე მეტი მუშაკი მესაკუთრე გახდა), მათთან გათანაბრებულმა პირებმაც. ამ კატეგორიის მუშაკებზე უფასოდ გაცემას დაექვემდებარა 2 მილიონ ცალზე მეტი აქცია, რომელთა ღირებულება სამ მილიონ დოლარზე მეტია, და 20 პროცენტის ფასდაკლებით მილიონ ცალამდე აქცია, რომელთა გამოსასყიდად უნდა გადაიხადონ მილიონ დოლარზე მეტი. გარდა ამისა, აქციათა შედარებით მსხვილი პაკეტის მფლობელი გახდა 40 ათასზე მეტი ფიზიკური და იურიდიული პირი (ეს 40 ათასი ოჯახია), რომლებიც 400-მდე სააქციო საზოგადოებაში, საბოლოო ანგარიშით, შეისყიდიან 75 მილიონი ამერიკული დოლარის საერთო ღირებულების 50 მილიონ ცალზე მეტ აქციას. გული მწყდება, რომ ეს პროცესები თითქოს კადრს მიღმა რჩება. ამას ვერ ამჩნევენ ისინი, ვინც უნდა ამჩნევდეს.

სულ უფრო მასშტაბური ხდება საპრივატიზაციო ბარათების — ვაუჩერების დარიგება, სადღეისოდ დარიგებულია თითქმის მილიონ-ნახევარი ვაუჩერი. მომზადებულია სათანადო ნორმატიული მეთოდიკური დოკუმენტაცია — ვაუჩერების მოძრაობის სქემა. შექმნილია და ფუნქციონირებს რესპუბლიკის საბარათო, სააუქციონო და სამი რეგიონული ცენტრი. როგორც არა ერთხელ აღნიშნულა, ვაუჩერების ძირითადი მასის დახაქონლება გათვალისწინებულია სპეციალიზებული საბარათო აუქციონების მეშვეობით (ეს კარგად უნდა დაიმახსოვრონ მფლობელებმა).

1996 წლის 1 ივლისამდე გათვალისწინებულია მოეწყოს დაახლოებით 50 სპეციალიზებული საბარათო აუქციონი უკვე გამართულ პირველ საბარათო აუქციონზე გამოტანილი იყო 25 სააქციო საზოგადოების 4 მილიონ დოლარზე მეტი ჯამური ღირებულების 8 მილიონ ცალამდე აქცია. იგი გაიმართა 21 ივნისიდან 10 ივლისამდე, ამჟამად მიმდინარეობს მონაცემების დამუშავება, ამ დღეებში გამოქვეყნდება შედეგები. მეორე აუქციონი 12 ივლისიდან დაიწყო და 35 ივლისამდე გასტანს (ყველა მოქალაქემ ამ სფეროში მიმდინარე პროცესებს თვალყური უნდა ადევნოს). მასზე გამოტანილია 54 სააქციო საზოგადოების აქციები, რომელთა საერთო ღირებულება შეადგენს 9 მილიონ ამერიკულ დოლარს, რაოდენობა კი 6 მილიონ ცალზე მეტია. საბოლოო შედეგები გამოცხადდება.

ამ პირობებში აშკარად დისონანსად ჟღერს ცალკეული პოლიტიკური პარტიების, ცალკეული პიროვნებების, პოლიტიკოსების მოთხოვნები. არჩევნებამდე პრივატიზაციის პროცესის შეჩერების შესახებ, ეს ხომ, სხვას რომ თავი დავანებოთ, რეფორმების შეჩერებასა და მოსახლეობისათვის იმ იმედის გაცრუებას ნიშნავს, რომ ისინი მესაკუთრენი გახდებიან და რომ სახელმწიფო დაიცავს საკუთრების უფლებას. პრივატიზაციის პროცესის შებრუნება შეუძლებელია. ამ მოთხოვნების პოპულისტური ხასიათი საკმაოდ ნათელია (ეს ვისაც ეხება, მოქალაქენი თავადაც მიხვდებიან და განსაზღვრავენ). მე ასე მგონია, რომ საარჩევნო ციებ-ცხელების დროს რეფორმებთან, სახელმწიფოებრიობის განმტკიცებასთან, წესრიგის განმტკიცებასთან დაკავშირებული პროცესები კი არ უნდა შეჩერდეს, პირიქით, კიდევ უფრო განმტკიცდეს. სახელმწიფოებრიობის შეგნება, სახელმწიფოებრიობისათვის ბრძოლა, თითოეული მოქალაქის ინტერესებისათვის ბრძოლა კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს და კონკრეტული გახდეს — ასეთი მიზანი უნდა ჰქონდეს საარჩევნო კამპანიას.

ამავე დროს, ცხადია, პრივატიზაცია თვითმიზანი არ არის, მთავარია, გამოვიყენოთ კერძო საკუთრების სახელმწიფო საკუთრებასთან შედარებით მაღალეფექტიანი მოტივაცია. ამ თვალსაზრისით პრობლემათა მთელი

(დასასრული მე-2 გვ.).

13 წლის განშორების შემდეგ— მშობლიურ თბილისში

4 აგვისტოს თბილისის მუსიკალური ცენტრი და თბილისის სიმფონიური ორკესტრი უმასპინძლებს ცნობილ ქართველ დირიჟორს, ჰერბერტ ფონ კარაიანის სახელობის კონკურსის ერთადერთ ქართველ ლაურეატს, ამჟამად კი სამხრეთ კორეის ცნობილი ორკესტრის და ეროვნული საოპერო თეატრის მთავარ დირიჟორს, რუსეთის ეროვნული სიმფონიური და სანკტ-პეტერბურგის საფესტივალო ორკესტრების მთავარ დირიჟორსა და სამხატვრო ხელმძღვანელს ვახტანგ ჟორდანიას.

მუსიკოსი 13 წლის წინათ გადავიდა საცხოვრებლად ამერიკის შეერთებულ შტატებში და დღეს ამ ქვეყნის მოქალაქეა. ამ ხნის განმავლობაში იგი იყო სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი ჩატანუგის სიმფონიური და საოპერო ასოციაციის, ასევე სპოკან-ვაშინგტონის ორკესტრებისა. იგი წარმატებით გამოდის მსოფლიოს სცენებზე — ამერიკასა და ევროპაში, აზიასა და ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში; ბოლო ხანს მის საშემსრულებლო ხელოვნებას გაეცნენ რუსეთსა და უკრაინაში.

მსოფლიოს სხვადასხვა ორკესტრებთან ერთად მან ჩაწერა ბევრი კომპაქტ-დისკი — როგორც კლასიკური, ასევე მეოცე საუკუნის კომპოზიტორების ნაწარმოებები. მის რეპერტუარში თანაბარი ადგილი უჭირავს ქართველი, ამერიკელი, რუსი, იტალიელი, გერმანელი და ფრანგი კომპოზიტორების ნაწარმოებებს.

და, აი, 13 წლის განშორების შემდეგ ვახტანგ ჟორდანია პირველად ეწვევა მშობლიურ თბილისს. ქართველი მუსიკისმოყვარულები მისი შესრულებით მოისმენენ უვერტიურას როსინის ოპერიდან „ქურდი კაჭკაჭი“, რიჰარდ შტრაუსის სიმფონიურ პოემას „დონ ჟუანი“ და ჰექტორ ბერლიოზის „ფანტასტიკურ სიმფონიას“.

ვლადიმერ შუმეიკო შუაკაცურად იქცევა

როცა რუსეთის ფედერაციის საბჭოში თათრეთის პრეზიდენტი მწვავედ გამოდიოდა ბატონ ვლადიმერ შუმეიკოს წინააღმდეგ არძინბას შესახებ მისი ცნობილი განცხადების გამო, დეპუტატთა ჯგუფმა ბატონ თამაზ ნადარეიშვილისა და ვახტანგ ყოლბაიას მეთაურობით სთხოვეს პარლამენტის სპიკერს ვახტანგ გოგუაძეს ჩაფრენილიყვნენ მოსკოვში ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარის მხარდასაჭერად: მაშინ, როდესაც ჩვენს გამო ბატონ შუმეიკოს შავ დღეში აგდებენ, აქ ჩვენი გულხელდაკრეფილი ჯდომა ვერაფერი ვაჟკაცობააო.

ბატონი ვახტანგი ტელეფონით დაუკავშირდა რუსეთის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარეს და ეს სურვილი გადასცა. ვლადიმერ შუმეიკომ მადლობა მოახსენა სპიკერს და დაადასტურა, რომ კვლავაც ყველაფერს იღონებს საქართველოს ინტერესების დასაცავად.

ფონდის „აღორძინება და დემოკრატია“ გამგეობის ახალი თავმჯდომარე

22 ივლისს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ფონდის „აღორძინება და დემოკრატია“ გამგეობის წევრები.

სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, რომ ფონდის ხელმძღვანელობას იგი ხვდება მძიმე პერიოდში — სოლიკო ხაბეიშვილის დაღუპვის შემდეგ. სოლიკო ხაბეიშვილის, უმწიკვლო ადამიანისა და გამოცდილი ორგანიზატორის ძალისხმევით ფონდმა ქართველი ერის საკეთილდღეოდ ბევრი რამ გააკეთა, მიაღწია საერთაშორისო აღიარებას. ედუარდ შევარდნაძემ დამსწრე საზოგადოებას ფონდის გამგეობის თავმჯდომარის მისეულ კანდიდატურად წარუდგინა ბატონი **ნუგზარ ფოფხაძე**. ფონდის წარმომადგენლებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი შემოთავაზებულ კანდიდატურას. მათ განაცხადეს, რომ კარგად იცნობენ ბატონ ნუგზარ ფოფხაძის პიროვნებას და მიაჩნიათ, რომ სწორედ ასეთი ფართო საერთაშორისო კავშირების მქონე, გამოცდილი და ენერგიული ადამიანი უნდა ჩაუდგეს სათავეში ფონდს.

დასასრულ, საუბარი შეეხო ფონდის „აღორძინება და დემოკრატია“ სამომავლო გეგმებს. სახელმწიფოს მეთაურმა ყურადღება მიაპყრო ახალგაზრდობის პრობლემებს. მან აღნიშნა, რომ მოდის უდიდესი პოტენციის მქონე თაობა, რომელსაც ფონდის მხრივ ხელშეწყობა და დახმარება სჭირდება.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო — საქინფორმი.

საპატიო ჯილდო

ამას წინათ ბათუმში ჩამოვიდნენ რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის დირექტორი, გენერალ-პოლკოვნიკი ანდრია ნიკოლაევი და მისი თანმხლები პირნი.

აჭარის უზენაეს საბჭოში გაიმართა სტუმართა მიღება.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების გარე საზღვრის დაცვის, რუსეთისა და საქართველოს ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისა და რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო ჯარებისათვის დახმარების საქმეში, სამსახურებრივი და საბრძოლო ამოცანების გადაწყვეტაში დიდი პირადი წვლილისათვის ანდრია ნიკოლაევმა აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ასლან აბაშიძეს გადასცა რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის წარჩინების ნიშანი „კავკასიაში სამსახურისათვის“, რომლის ნომერია 10.

წარჩინების ამგვარი ნიშანი რუსეთში ჯერ კიდევ მეფის დროს არსებობდა და სულ ახლახან აღადგინეს. ასლან აბაშიძე პირველი პირია კავკასიაში და მეათე — დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ფარგლებში, რომელმაც ეს საპატიო ჯილდო დაიმსახურა.

თამაზ ბენძხაძე,
საქინფორმის კორ.

პოლემიკა

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 10 ივნისის ნომერში დაიბეჭდა ჩვენი სპეციალური კორესპონდენტის შოთა მაჭარაშვილის წერილი: „ვაი, გაჩეხილო ტყეებო, ვაი „დაქცეულო მამულო“, რომელიც ადიგენის რაიონს ეხებოდა.

ამასთან დაკავშირებით რედაქციამ მიიღო ადიგენის რაიონის გამგებლის მიხეილ თუმანიშვილის წერილი, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ.

ჯერ შემოწმება აჯობებდა...

მთლიანად ვეთანხმები სტატიის პათოსს — საქართველოს ტყეები უმოწყალოდ ნადგურდება და უნდა დავიცვათ. მაგრამ როდესაც ამ საშვილიშვილო საქმის პატრონობას ისინი კისრულობენ, ვინც თავად გარეულია ტყეების განადგურებაში, ეს იმას ჰგავს, მგელს ცხვრის ფარა, რომ ჩააბარო. ამ წერილის უკანაც ისეთი ხალხი დგას, ვისაც გადაუკეტეს სარფიანი არხი და ამიტომ საჩივრების წერას მოჰყვეს ხელი. ესენი გახლავან ადიგენის ყოფილი გამგებელი მერაბ კუბლაშვილი, მისივე მამიდაშვილი, მოქალაქეთა კავშირის ორგანიზაციის თავმჯდომარე ლელა ჩიტორელიძე და მისი მოადგილე, ასევე ყოფილი გამგებლის ახლო ნათესავი ზ. კუბლაშვილი.

ჩემი გამგებლობის პერიოდში ამ პირთა მიერ ორგანიზებული საჩივრების საფუძველზე რვაჯერ შეგვამოწმეს სხვადასხვა ინსტანციების წარმომადგენლებმა. შემოწმებათა ყველა აქტი და დასკვნა არსებობს, კარგი იქნებოდა, თვალი მაინც გადაევლო ამ მასალებისთვის „გაჩეხილი ტყეების“ ავტორს, მაშინ ბევრ გაუგებრობას აიცილებდა თავიდან.

ზემოთ დასახელებული სამი მომჩივანიდან პირველის მიმართ რესპუბლიკის პროკურატურაში სამი მუხლითაა აღძრული სისხლის სამართლის საქმე, ერთ-ერთი ბრალდება კი სწორედ სახელმწიფო ქონების დიდძალი ოდენობით დატაცების, დახერხილი მასალის თურქეთში გატანის გახმაურებულ ფაქტთან არის დაკავშირებული.

ლელა ჩიტორელიძის მიმართ აღძრულია საქმე ადიგენის რაიპროკურატურაში ლტოლვილთათვის გამოყოფილი ჰუმანიტარული დახმარების მითვისების გამო.

ამავე ჯგუფის ინიციატივით რაიონში „მეგროვედა“ 2500 ხელმოწერა სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის სახელზე გაგზავნილ მიმართვაზე იმის შესახებ, რომ თურმე „ხალხი მოითხოვს ერთგული პიროვნების, სახელმწიფოს მეთაურის პოლიტიკის ერთადერთი გამტარებლის, რაიონის მხსნელის მერაბ კუბლაშვილის დაბრუნებას გამგებლის თანამდებობაზე“. ეს ხელმოწერები შეამოწმა მორიგმა კომისიამ სახელმწიფოს მეთაურის აპარატიდან. თუ რა დასკვნა დაიწერა ყალბ ხელმოწერებზე, ალბათ, ამის ნახვა არ გაუჭირდება მსურველს.

ახლა, საკუთრივ, სტატიის შესახებ.

სამწუხაროა, რომ დაინტერესებულ პირთა მიერ ტენდენციურად მიწოდებული „ფაქტების“ გავლენის ქვეშ მოექცა ჟურნალისტი, რომელიც, ობიექტურად რომ შეესწავლა სინამდვილე, მაგალითად, მართლა მოიხნა თუ არა და დაითესა თუ არა მიწები, რა ღონისძიებებს ვატარებთ ადგილობრივ გამგეობასთან ერთად არა დღეს და გუშინ წამოჭრილი სასმელი წყლის პრობლემის მოსაგვარებლად, მუშაობს თუ არა ტელევიზია და სხვა, ეგებ სრულიად საპირისპირო დასკვნამდე მისულიყო.

ანდა, უდეს მოსახლეობასთან „გასაუბრების“ ფაქტები... წლეულს აქ ორჯერ ჩავატარეთ სოფლის ყრილობა, 9 მაისის დღესასწაულზე, ასევე მესაზღვრის დღის აღსანიშნავ ღონისძიებებშიც პირადად ვმონაწილეობდი და ამის შემდგომ იწერება: „რაიონის ხელმძღვანელობა, როგორც მოსახლეობა ამბობს, ბოლოს როდის იყო ამოსული აქ, აღარც ახსოვთ“.

არა მგონია, რომ უდელებს ასეთი კოლექტიური სკლეროზი შეყროდეთ.

რა კარგი იქნებოდა, რომ წერილში რაიონიდან ხე-ტყის გატანის პრობლემაზე საუბრის დროს ჩემი გამგებლად მუშაობის პერიოდში მომხდარი ერთი ფაქტი მაინც დაესახელებინათ. მაშინ ხომ მეც არ მექნებოდა ხმა ამოსაღები. მაგრამ ასეთი ფაქტები არ არის და არც შეიძლება იყოს. პირიქით, ჩვენ ვცდილობთ მაქსიმალური სიმკაცრე გამოვიჩინოთ ამ საკითხში და დავიცვათ კანონი. აქ ბევრზე ბევრი ნიუანსია, რომელთა ჩამოთვლა დიდ დროსა და ადგილს წაიღებს, მაგრამ ერთი, უმარტივესი, შემდეგი გახლავთ: თუ ფონდი ამოწურულია, ერთ ფიცარსაც ვერავის გავატანთ. ცხადია, ამის გამო არიან განაწყენებულები, იქნებიან მომავალშიც, ისევე, როგორც წერილში მოხსენიებული ვინმე გოგოლაშვილი, რომელსაც თურმე უთქვამს „სამი კუბური მეტრი ხე-ტყის მასალა არ გამომიყვეს, ფონდი არ გვაქვსო“!

დიახ, როცა არ გვაქვს, ვერც გამოვუყოფთ, ძალიან ძნელია, მაგრამ რა ვქნათ? ჩვენ მხარდაჭერას ველოდით ადიგენში ასე იშვიათად ჩამოღწეული ტრადიციული გაზეთის წარმომადგენლისგან, თქვენ კი...

ორიოდე სიტყვა საავადმყოფოზე, რომელიც ჩვენთან მუშაობს და თუ აქ მკურნალობა ნებისმიერ სხვა საავადმყოფოში მკურნალობაზე იაფი არ აღმოჩნდება, მაშინ სათქმელიც აღარაფერი გვაქვს; ამ გაჭირვების ჟამს საავადმყოფო გავხსენით სოფელ ვარხანში, მალე სამშობიარო განყოფილებაც გაიხსნება სოფელ უდეს საავადმყოფოში...

ქალბატონ ვენერა გობეჯიშვილის შესახებ (წერილში მის გასაჭირზეა საუბარი) ვიტყოდი ერთს — ჩვენთან იგი არ ყოფილა, და, რითაც შევძლებთ, უეჭველად დავეხმარებით.

ახალციხე-ბათუმის მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „მესხეთის“ გაძარცვის ფაქტთან დაკავშირებით ორი თვეა აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, დაკავებულია 6 კაცი, დასაკავებელია 20-მდე მოქალაქე, მიმდინარეობს ძიება და დარწმუნებული ვართ, დამნაშავენი უეჭველად დაისჯებიან. ასე რომ, ამ საკითხს გამგეობა მუდმივად აკონტროლებს. პერიოდულად ვისმენთ ინფორმაციებს ამ და მსგავს დანაშაულობათა შესახებ, ამის შემოწმებაც იოლია. „საქართველოს რესპუბლიკის“ პუბლიკაციაში კი ჩვენ გვადანაშაულებენ. „გოდერძის უღელტეხილის გავლისთანავე, — ნათქვამია წერილში — ხულოს რაიონის საზღვარზე თურქეთის მანქანები დგანან და ფერად ლითონს იქვე დოლარებზე ცვლიან“. ჯერ ერთი, ეს მანქანები თურქეთის კი არა, საქართველოს მოქალაქეებისა გახლავთ, მეორეც, „საზღვარზე“ კი არ დგანან, არამედ ხულოს რაიონის ტერიტორიაზე, და, მესამე, მათ აჭარის ხელისუფალთაგან ოფიციალური ლიცენზიაც აქვთ მიღებული.

უბედურებაა, როდესაც ჩვენს რაიონზე მთელი საქართველოგამოვლილი, საბაჟო გადასახადის ქვითრით აღჭურვილი და ლიცენზირებული ასეთი ტვირთები გადის. ათასნაირი „გამონაკლისების“ არსებობაა ჩვენი ქვეყნის სიმდიდრის საზღვარგარეთ გაყიდვის თავიდათავი, თუ ვიღებთ დადგენილებებსა და კანონებს აკრძალვის შესახებ, გამონაკლისებს აღარ უნდა ვუშვებდეთ, ეს საკითხი მრავალგზის ღირსია

(დასასრული მე-2 გვ.).

ჩვენ ავამუშავდებით!

ფეიქრები წარმოებას უბრუნდებიან

სისხამ დილით, ისევ ისე როგორც ეს ადრე იყო, კარისკაცი კომბინატის შესასვლელთან თავის ადგილს იკავებს და ყურადღებით ათვალიერებს მომსვლელებს.

ესენი გორის სააქციო საზოგადოება „ლაინის“ (ყოფილი ბამბეულის საფეიქრო სამკერვალო-საწარმოო გაერთიანების) მუშა-მოსამსახურეები არიან.

იწყება სამუშაო დღე, ქვეოსტატები დაზგა-დანადგარების „შრომისუნარიანობას“ ამოწმებენ, ფეიქრები თავიანთ სართავ და საქსოვ მომსახურების ზონებს აშურებენ, ძველებური ხმაურითა და ჟრიამულით აღარ ივსება აქაურობა, მაგრამ ცოტა ხნის წინათ აქ საერთოდ ადამიანის ჭაჭანება არ ისმოდა. შარშან, ლამის მთელი წლის მანძილზე, საფეიქრო გიგანტს რის ვაივაგლახით უსინჯავდნენ „პულსს“, პირველ ნოემბერს კი წარმოება მთლიანად გაჩერდა. მას შემდეგ სართავ ფაბრიკებში თითისტარი არ დატრიალებულა, საქსოვ ფაბრიკებში მეტრი ხამი ქსოვილი არ მოქსოვილა. აი, ასეთი „მყარი“ უძრაობის შემდეგ, სულ ახლახან „ლაინმა“ ისევ გამოიხედა: სახელმწიფოს მეთაურის წლევანდელი 17 აპრილის № 48 განკარგულებით მრეწველობის სამინისტროს მსუბუქი მრეწველობის დარგის საწარმოების ასამუშავებლად სახელმწიფო რეზერვებიდან 900 ტონაზე მეტი ბამბა გამოუყვეს. აქედან დაახლოებით 600 ტონა — „ლაინი“.

ნედლეულისა და ელექტრორესურსების გარდა, ბამბეულის ქსოვილების გამოსაშვებად ასობით დასახელების კომპონენტია საჭირო. ადრე, როცა საწარმო სრული დატვირთვით მუშაობდა, აქ წლიურად შემოჰქონდათ 6000 ტონამდე ბამბა (მომწოდებლები — აზერბაიჯანი და შუა აზიის რესპუბლიკები) საშუალოდ 65 ტონა სხვადასხვა საღებავი (უკრაინა, რუსეთი), 850 ტონა ქიმიკატები (უკრაინა, რუსეთი), 1000 ტონა ტექნიკური მარილი (სომხეთი), 500 ტონამდე სახამებელი (ჩრდილოეთ კავკასია) და სხვა. კომბინატი საშუალოდ წლიურად ხმარობდა 50 მილიონ კუბმეტრ გაზს (თურქმენეთი, რუსეთი) და 43 მილიონ კილოვატსაათამდე ელექტროენერგიას.

ყველაფერი ამის სანაცვლოდ გორელები ქვეყანას აძლევდნენ 56-57 მილიონ მეტრ ქსოვილს, ანუ იმდენს, რამდენიც საჭიროა ეკვატორზე დედამიწისათვის 1400-ჯერ გარსშემოსაწერად (შედარებისთვის: შარშან „ლაინში“ მოიხმარეს 3,5 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია და გამოუშვეს 2 მილიონი მეტრი ქსოვილი).

რა თქმა უნდა, მხარ-თეძოზე წამოწოლით ვერც სოფელს ააშენებ და ვერც ასეთ გიგანტს მოიყვან მოძრაობაში. აი, სად გაიარა პირველი ცხოვრებისეული შემოწმება სამხარეო ტერიტორიული მოწყობის პრინციპებმა, როცა შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია სათავეში ჩაუდგა ასამოქმედებელ საწარმოთათვის ყველა საკითხის მოგვარებას და ადგილობრივი გამგეობების ძალისხმევა სხვა, არანაკლებ საშური, სოფლის მეურნეობის მიმდინარე საკითხების გადაწყვეტისათვის წარმართა. სწორედ, რომ დროული აღმოჩნდა უმაღლესი ხელისუფლების მიერ გამოცემული განკარგულება მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა ამუშავების შესახებ.

ღვთის ნებით, „ლაინის“ თავკაცებისა და შიდა ქართლში სახელმწიფოს რწმუნებულის ადმინისტრაციის მონდომებით საფეიქრო გიგანტი ამუშავდა. რა თქმა უნდა, არა ისეთი დატვირთვით და წ-

(დასასრული მე-2 გვ.).

„მინდა მჯეროდეს, რომ ამჯერად რუსეთის ხელმძღვანელობის ცდა—ჩვენთან და მსოფლიოს თანამეგობრობასთან ერთად წერტილი დაუსვას კონფლიქტებს—შედეგიანი იქნება“

(დასასრული)

კომპლექსი დგას, რომელთა გადაჭრა მეწარმეობისათვის, ბიზნესისათვის ხელსაყრელი ეკონომიკური გარემოს შექმნაზეა დამოკიდებული. ამ მიზანს, უწინარეს ყოვლისა, ფინანსური სტაბილიზაცია და ინფლაციის შეჩერება ემსახურება, მაგრამ ყველაფერს ვერ ამოწურავს. ეკონომიკის სამინისტრომ (იგი ამ ბოლო დროს თანდათანობით საჭირო დონეზე დგება) დარგობრივ სამინისტროებთან ერთად და კანონმდებლებმაც უნდა იზრუნონ ხსენებულ პრობლემათა დროული და ეფექტიანი გადაჭრისათვის.

განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია ზამთრისათვის მზადება, ჩემს შემდგომ გამოსვლებში ენერგეტიკულ პრობლემებთან დაკავშირებით აუცილებლად უფრო კონკრეტულად ვიმსჯელებთ. მოსახლეობას აინტერესებს, რა იქნება ზამთარში, როგორ ვემზადებით. საუბარი ენერგეტიკულ პრობლემებზე, ალბათ, უახლოეს დღეებში თათბირზე გაიმართება, რომელზეც მოვიწვევთ შესაბამის ხელმძღვანელებს.

ახლა სახაზინო სამსახურის შექმნასთან დაკავშირებით უნდა გითხრათ, რომ ეს გადაწყვეტილება სამინისტროსა და მისი მინისტრის ინიციატივიანი მოქმედების შედეგია (მან ძალიან პრინციპულად დააყენა ეს საკითხი სახელმწიფოს მეთაურის, მინისტრთა კაბინეტის წინაშე). ამ ინსტიტუტს საბაზრო ეკონომიკის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება და მნიშვნელოვანი ფაქტორიცაა. საკითხი საკმაოდ კვალიფიციურად, მაღალპროფესიულ დონეზეა დამუშავებული ჩვენი უცხოელი კოლეგების აქტიური მონაწილეობით. ვფიქრობ, რომ უახლოეს დროში, როცა ხაზინა შესაბამის ფორმას მიიღებს, ამას იგრძნობს მოსახლეობაც, სახელმწიფო დაწესებულებებიცა და კერძო სექტორიც.

მიმოქცევაში ლარის შემოტანა უკვე მომწიფდა. ახლა ვერც თარიღს დავასახელებ და ვერც სხვა დეტალებს, მაგრამ პრინციპში ეს უკვე მომწიფებული საკითხია. უცხოელი ექსპერტების, სხვების გამოცდილების გათვალისწინებით ჩვენ თანმიმდევრულად მივდივართ ეროვნული ვალუტისაკენ და მისი შემოღება ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი იქნება ჩვენი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პროცესში. რაც მთავარია, ლარმა ქვეყანას და მოსახლეობას სარგებელი და ეკონომიკურ-ფინანსური სტაბილიზაცია უნდა მოუტანოს. ასეც იქნება. ამასთან დაკავშირებით, არ შემიძლია არ აღვნიშნო ეროვნული ბანკის, მთელი ფინანსური ბლოკის აზრიანი და მიზანმიმართული მუშაობა.

განსაკუთრებით მინდა გამოვყო ერთი საკითხი და თუკი ეს სიტყვები მიაღწევს იმ ადამიანებამდე, რომელთა შესახებაც ვამბობ, ბედნიერი ვიქნებოდი — ეს არის საფრანგეთის მთავრობის ძალიან დიდი დახმარება. საკუთარი ვალუტის დაბეჭდვა საკმაოდ ძვირადღირებული აქციაა, იგი მილიონობით დოლარი, ფრანკი ჯდება. პარიზში ვიზიტის დროს ვთხოვე მაშინდელ ხელისუფლებას, დაგვხმარებოდა ამ საკითხში. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ფული თითქმის არ გადაგვიხდია, რადგან სახსრები არ გაგვაჩნია, მათ დაბეჭდეს ლარი (თუ არ ვცდები, ეს 10-12 მილიონი ფრანკი დაჯდა, საბოლოო ანგარიშით, ალბათ, კიდევ უფრო მეტიც). შემდეგ ეს სამუშაო გააგრძელეს ბატონებმა ჯავახიშვილმა, ბასილიამ, იაკობიძემ, სხვებმა და, აი, პრეზიდენტ შირაკის მთავრობის შექმნისთანავე საკითხი დადებითად გადაწყდა. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა საფრანგეთის ელჩმა საქართველოში ბატონმა ფასიემ. მინდა, რომ საფრანგეთის მთავრობამ იცოდეს, ქართველი ხალხი მადლიერია ამ მხარდაჭერისა და თანადგომისათვის.

ახლა ზოგიერთ უსიამოვნო ამბავთან დაკავშირებით.

კონიაკის ქარხნის საკითხში, ვფიქრობ, სპეციალური ჩარევა და გარკვევაა საჭირო, ნაჩქარევი დასკვნის გამოტანა არ შეიძლება.

რაც შეეხება ბორჯომს, იაფად გაყიდვაზე არ არის ლაპარაკი, უბრალოდ, მოხდა სახელმწიფო, სახალხო დოვლათის იარაღიანი ხალხის მიერ მიტაცება. ყველამ იცის, რა სიმდიდრეა ბორჯომი და ბორჯომის წყალი. ზოგიერთი იმასაც კი ამბობდა, რომ საქართველოს მარტო ბორჯომი არჩენსო: მთლად ასე არ არის, მაგრამ ჭეშმარიტების ელემენტები ამაში არის. ამ საკითხზე რამდენიმე თვის წინათ ვილაპარაკე, მათ შორის, რესპუბლიკურ თათბირზე. ამ რეგიონში ცნობილი ოპერაციების განხორციელების შემდეგ საჭიროა შეიქმნას მთავრობის კომისია, ყველაფერი ისე გამოვიძიოთ, რომ დანაშაულს ფარდა აეხადოს, მოსახლეობამ ყველაფერი გაიგოს და ეს გაკვეთილადაც გამოდგეს.

საგანგებო ღონისძიებებს (მხედველობაში მაქვს იარაღიანი ხალხის თარეშის ალკვეთა, ვინც იმსახურებდა, მათი იზოლაცია), რომლებიც მოეწყო თბილისში, კახეთში, ბორჯომში, სამტრედიასა და სხვა რაიონებში, გარდა იმისა, რომ ხალხმა ამოისუნთქა, სხვა სასიხარულო სიმპტომებიც მოჰყვა. კერძოდ, ეკონომიკური ცხოვრების გამოცოცხლება ამ რეგიონებში, და კიდევ ერთი, ჯერ შეუმჩნეველი, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი: საქმიანი ხალხის, ბიზნესმენების დაბრუნება, განსაკუთრებით ახალგაზრდების. სწავლობენ აქ შექმნილ ვითარებას, ხედავენ, რომ საქართველოში უკვე შეიძლება სერიოზული საქმიანობა და მუშაობა, ნორმალური ცხოვრება და იღებენ გადაწყვეტილებას.

კიდევ ერთი ტენდენცია, რომლის პირველ სიმპტომებზე შეიძლება ლაპარაკი: დაიწყო ებრაელი მოსახლეობის დაბრუნება. კულაშში, მაგალითად, დაბრუნდნენ პირველი ოჯახები და ეს მას შემდეგ, რაც იმ კუთხეში წესრიგის დამყარება დაიწყო. ამ ამბავს ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ მივესალმებით. ყველა, ვისაც საკუთარი თავისა და საქართველოსათვის სიკეთის გაკეთება შეუძლია — დაბრუნდება.

სტაბილიზაციის პროცესის დამკვიდრებაში უდავოდ დიდი დამსახურება მიუძღვის პოლიციას, დედაქალაქის, შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას. ამის ართქმა უსამართლობაა, საკმაოდ აქტიურად არიან ჩაბმული ამ პროცესში პროკურატურის ორგანოები.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას: არავითარი თვითკმაყოფილება, ეს მხოლოდ დასაწყისია.

ახლახან დამთავრებული საერთაშორისო ფორუმის მონაწილენი (გახსოვთ — ამბობდნენ, რა დროს ფორუმიაო) მთელ მსოფლიოს მოედვნენ, მე უკვე ვიღებ წერილებს, რომლებსაც აუღელვებლად ვერ წაიკითხავ. — ჩვენ გვეგონა, რომ გაუბედურებულ ქვეყანაში ჩავიდოდით და ვიხილეთ უნიკალური ხალხი თავისი თვისებებით, თავისი ბუნებით, ნორმალური წესრიგი, სოციალური ატმოსფერო და აზროვნების ძალიან მაღალი დონე, — აი, კვინტესენცია იმ წერილებისა, რომლებსაც ვღებულობ.

— ხვალ პარლამენტის საგანგებო სხდომაზე კონსტიტუციის პროექტის განხილვა დაიწყება, როგორ ფიქრობთ, როგორ წარიმართება ეს პროცესი? და კიდევ ერთი კითხვა: პრეზიდენტად კენჭისყრის თაობაზე თქვენ გასულ კვირას განაცხადეთ, რომ ჯერ არ გადაგიწყვეტიათ, მიიღებთ თუ არა მონაწილეობას არჩევნებში, რა იყო ეს? შემთხვევითი ფრაზა, ადამიანური ემოცია თუ პოლიტიკური ანალიზის შედეგი? არჩევნებთან დაკავშირებით ერთი განცხადება უკვე გაკეთდა — ბატონმა ჯუმბერ პატიაშვილმა ბრძანა, რომ თუ მის კანდიდატურას წამოაყენებენ, იგი მონაწილეობას მიიღებს. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ბატონი ჯაბა იოსელიანი აპირებს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას. ასე რომ, ორმა პიროვნებამ უკვე გააკეთა განცხადება, შევარდნაძე კი ამბობს, რომ მას ჯერ არ გადაუწყვეტია. როგორ გავიგოთ ეს?

— დაიწყო პრეზიდენტობის კანდიდატთა წამოყენების ნაჩქარევი პროცესი. არც ბატონ ჯუმბერზე მინდა განსაკუთრებული ვთქვა, არც ბატონ ჯაბაზე — ეს მათი უფლებაა. ასეთი პრეტენდენტი, ალბათ, ბევრი იქნება. მე არ გამკვირვებია, რომ მათ თავიანთი „კანდიდატურები წამოაყენეს, შეიძლება უფრო მოულოდნელი მოვლენების მოწმენიც გავხდეთ. ეს ყველაფერი, როგორც იტყვიან, ნორმალურია. ყველა ამომრჩევლისათვის გასათვალისწინებელია, რომ საარჩევნო კამპანიისათვის ადამიანები მოულოდნელად ამოვარდებიან ხოლმე იმ მსოფლმხედველობრივი თუ ზნეობრივი ჩარჩოებიდან, რომლებშიც ათეული წლების განმავლობაში იმყოფებოდნენ და იღებენ ლოგიკურ თუ ალოგიკურ გადაწყვეტილებებს. ეს დამახასიათებელია ყველა ქვეყანაში გამართული საარჩევნო კამპანიისათვის, ჩვენ ამას ვერ ავცდებით, პრეზიდენტობის მსურველი, როგორც ვხედავ, საქართველოში ბევრია. მე ასე ვიტყოდი, რომ ხალხი, მოსახლეობა დაბრძენდა, ცხოვრებისაგან მწარე გაკვეთილები უკვე მიღებული აქვს. დღეს ხალხს უნდა ვენდოთ, მან უნდა გადაწყვიტოს ეს საკითხი ისე, როგორც საჭიროა ქვეყნის ინტერესებისათვის.

რაც შეეხება ჩემს საკითხს — მე სავსებით გასაგებად ვთქვი, რომ ჩემი მთავარი მიზანი გახლავთ კონსტიტუციის მიღება, კონსტიტუცია ქვეყნის გვირგვინია, მისი პასპორტია საერთაშორისო თანამეგობრობაში ურთიერთობისა და თანამშრომლობისათვის. ბევრმა პოსტსაბჭოურმა ქვეყანამ წარმატებით გაართვა თავი საკონსტიტუციო პროცესს. წარმოიდგინეთ, ისეთ გიგანტს, როგორიც რუსეთია, კონსტიტუცია რომ არ მიეღო — ეს იქნებოდა კატაკლიზმებისა და მიწისძვრების ქვეყანა. ახლაც ბევრი სირთულე აქვს, მაგრამ კონსტიტუცია მაინც ის შემაკავშირებელი და შემადუღაბებელი ფაქტორია, რომელმაც რუსეთს შესაძლებლობა მისცა უფრო გამოკვეთილად დაადგეს დიდი რეფორმების გზას. ჩვენმა მეზობელმა სომხეთმა მიიღო კონსტიტუცია და უნდა გითხრათ, ეს შესაშური ეროვნული და სახელმწიფოებრივი ერთიანობის პროცესში განხორციელდა (ვნანობ, რომ ჩვენთან არ მოხერხდა ამ კონსტიტუციის გამოქვეყნება, არ იყო აზრს მოკლებული მისი გაცნობა). ვიცი, როგორ ემზადება კონსტიტუციის მისაღებად აზერბაიჯანი, დარწმუნებული ვარ, იქაც ისეთ კონსტიტუციას მიიღებენ, რომელიც ამ ეტაპზე აუცილებელია ამ სახელმწიფოსათვის. სხვა ქვეყნებს აღარ დავასახელებ, თითქმის ყველასათვის არის დამახასიათებელი ეს პროცესი.

ხვალინდელ დებატებთან დაკავშირებით ჩემი აზრი ერთი ფრაზით გამოვხატე — ძლიერი პარლამენტისა და ძლიერი პრეზიდენტის მომხრე ვარ. დებატების ძირითადი თემაც, ალბათ, ეს იქნება, ანუ მსჯელობა მთავარ საკითხზე — ხელისუფლების შესახებ, იმის შესახებ, თუ როგორი პარლამენტი, როგორი მთავრობა, როგორი პრეზიდენტი გვინდა. კიდევ გავიმეორებ ჩემს ცნობილ ფრაზას — ძლიერი პარლამენტი და ძლიერი პრეზიდენტი და ნორმალური თანამშრომლობა. უნდა გავითვალისწინოთ ისეთი დებულებები, რომლებიც პრეზიდენტსაც, პარლამენტსაც, მთავრობასაც განაწყობს თანამშრომლობისათვის, მოუწოდებს თანამშრომლობისაკენ, აიძულებს, რომ ითანამშრომლონ მაშინაც კი, როცა ხანდახან შეუთავსებადი რამ ხდება. საბოლოო ანგარიშით კი, ყველაფერს გადაწყვეტენ საქართველოს მოქალაქენი, მათ ვერავინ ვერ გააცურებს ვერც პოპულიზმით, ვერც დემაგოგიით, ვერც დაპირებებით, იმიტომ, რომ ყველაფერი ეს უკვე ვნახეთ, ყველაფერი ეს უკვე გაიარა ჩვენმა ხალხმა სხვადასხვა ეტაპებზე.

მინდა მოვუწოდო მოქალაქეებს გულისყურით ადევნონ თვალი საპარლამენტო დებატებს. ჩვენთან არის სათანადო ცენტრები, რომლებიც ითვალისწინებენ მოქალაქეთა აზრს, განწყობილებას. მათ შეუძლიათ დარეკონ კიდეც საპარლამენტო სამსახურებში, სახელმწიფოს მეთაურის აპარატში და ეს ყველაფერი გამოცხადდება. სასურველია რომ მოქალაქეები ჩართული იყვნენ ამ პროცესში. შეიძლება მოხდეს ისე, რომ პარლამენტმა ვერ შეძლოს კონსტიტუციის მიღება და რეფერენდუმი დაგვჭირდეს. ამისათვის მოქალაქეთა გათვითცნობიერებას ძალიან დიდი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

რა მიმაჩნია არსებითად იმასთან დაკავშირებით, რომ უკვე დაიწყო კანდიდატურების დასახელება, წამოყენება? თუმცა კონსტიტუცია ჯერ არ არის მიღებული და არავინ იცის გვეყოლება თუ არა პრეზიდენტი (შეიძლება პარლამენტმა თქვას კიდეც — არ გვინდა პრეზიდენტი, ან პირიქით), მაგრამ ეს პროცესი მაინც დაიწყო. მინდა ასე ვთქვა: მთავარია, რომ მომავალი არჩევნები საყოველთაო გნიასის, ურთიერთლანძღვის, აურზაურის, იარაღისა და ფულის გარეშე მოვაწყოთ, იმ ფულის გარეშე, რომელიც უკანონოდ არის ნაშოვნი და მოპოვებული. არჩევნებიდან ქვეყანა კონსოლიდირებული, მოქალაქენი უფრო იმედიანი და ხელისუფლებაში დარწმუნებული უნდა გამოვიდნენ. ეს უნდა იყოს მიზანი და არა ის, რომ ერთმანეთი დავხოცოთ, ვლანძღოთ და ერთმანეთს ვაგინოთ.

ახლა იმის შესახებ, იყრის თუ არა კენჭს შევარდნაძე.. კვლავ მინდა დავადასტურო ის, რაც წინათ ვთქვი — აქ ძალიან დიდი კითხვის ნიშანი დგას. საერთოდ, ყველა გადაწყვეტილებას ძალიან დიდი შინაგანი ბრძოლის შემდეგ ვღებულობ, ეს ბევრმა ჩემმა თანამებრძოლმა და მეგობარმა იცის (თუმცა, ზოგი ამბობს, რომ მე მეგობარი არ მყავს, მაგრამ არიან მაინც მეგობრები, რომლებიც ამას დაადასტურებენ). ძალიან მძიმედ ვიღებ გადაწყვეტილებებს, მით უმეტეს, ახლის. უნდა გითხრათ, რომ ეს არც კოკლუცობაა და არც პოლიტიკური ხრიკი, სავსებით გულწრფელად ვამბობ. მაქვს საშუალება, დრო კიდევ არის, გავიგო ჩემი ხალხის განწყობილება, რომელსაც, ალბათ, გარკვეული მნიშვნელობა ექნება გადაწყვეტილების მიღებაში. მე რომ ვთქვა დღეს, კენჭს არ ვიყრიმეთქი, ალბათ, ეს მთლად საფუძვლიანი არ იქნება, მაგრამ, იმასაც ვერ ვიტყვი, რომ ერთი კვირის შემდეგ გადავწყვეტ ამ საკითხს, როგორც მოგახსენეთ, აქ ძალიან დიდი კითხვის ნიშანია დასმული, ჩემი უმთავრესი მიზანია კონსტიტუციის მიღებაა და, ღმერთმა ქნას, რომ ეს მიზანი შესრულდეს. ვნახოთ, რა იქნება.

— გასულ კვირას თბილისში შეიკრიბა ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების ოთხმხრივი შერეული კომისია. გუშინწინ შეხვედით აფხაზეთიდან ლტოლვილ ჩვენს მოსახლეობას — მათ პარლამენტის შენობის წინ მშვიდობიანი აქცია შეწყვიტეს. მათი ნაწილი მოსკოვში უნდა ჩავიდეს და მთავრობის წარმომადგენლებს შეხვდეს. მაშინ, როცა ქართულ-ოსური კონფლიქტის მოსაგვარებლად თბილისში იკრიბებიან, როცა მოსკოვში აპირებს ჩასვლას ლტოლვილთა ნაწილი, ამ ფონზე რუსეთის სათათბიროში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რუსეთთან მიერთების საკითხის დასმას აპირებენ. რას შეცვლის ეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში?

— რაც სათათბიროში მოხდა, ამის გამართლება, პრაქტიკულად შეუძლებელია. ეს დაახლოებით იგივეა, რომ საქართველოს პარლამენტმა იმსჯელოს, დარჩეს ჩეჩნეთი რუსეთის შემადგენლობაში თუ არა, ესე იგი, უაზრობამდე მისული პრობლემაა. უფრო დიდმპყრობელური, შოვინისტური აქცია ძნელი წარმოსადგენი იყო სხვადასხვა ჯურის იმპერიების დროსაც კი. ამას ძალიან დიდი გულისტკივილით ვამბობ, მინდა იმ დეპუტატებს, რომლებმაც რაღაცნაირად მოახდინეს რეაგირება სხვა ქვეყნის სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობის საკითხებზე (ასეთი 216 აღმოჩნდა). ვკითხო: ალმა-ათის მემორანდუმი სეპარატიზმთან დამოკიდებულების შესახებ, ეს, რა, ფარატინა ქაღალდია, ჩვენ, სახელმწიფოები ერთმანეთს თვალს ვუხვევთ და ვატყუებთ? მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ: არა მგონია, რომ თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურებში თუნდაც ერთი კაცი იყოს, თუნდაც პრეზიდენტი ელცინი და სხვა ჩემი კოლეგები, რომლებიც ტაშს უკრავდნენ იმას, რაც სათათბიროში მოხდა. ძალიან დამაფიქრებელი მოვლენაა. კიდევ კარგი, რომ გადაწყვეტილება არ მიიღეს. აღმოჩნდნენ ჯანსაღი ძალები, რომლებიც ამას დაუპირისპირდნენ. მიმაჩნია, რომ ეს იყო მძიმე მოვლენა არა მარტო რუსეთისა და საქართველოსათვის, არამედ მთელი თანამეგობრობისათვისაც. ეს იყო ხაზის გადასმა იმ მემორანდუმისა, რომელსაც ჩვენ ყველამ ერთხმად მოვაწერეთ ხელი ალმა-ათაში და ეს უნდა გააიზრონ დეპუტატებმაც და სხვა პოლიტიკოსებმაც.

რაც შეეხება ჩემს პოზიციას რუსეთთან დაკავშირებით, ყველასათვის ცნობილია, არაერთხელ და სავსებით გულწრფელად მითქვამს: ჩვენ უნდა შევძლოთ სამაგალითო მეზობლური, მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობების დამყარება რუსეთთან, სტრატეგიული თანამშრომლობა, როგორც ეს ბატონმა ელცინმა და მე თბილისში პრეზიდენტის ყოფნის დროს განვაცხადეთ და შემდეგ არაერთხელ დავადასტურეთ. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ის სასინჯი ქვაა იმისა, რაზეც ჩვენ შევთანხმდით. მინდა ვთქვა: რუსეთი ის სახელმწიფოა, რომელსაც ამ კონფლიქტების მოგვარებაში გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლია, რითაც ყველა ხალხისა და ყველა სახელმწიფოს დიდ ნდობასა და პატივისცემას დაიმსახურებს, და ეს შეუძლია გააკეთოს რაიმე სერიოზული გართულების გარეშე. მას ეს ძალუძს. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ გაერო, უშიშროების ევროპული სტრუქტურები და ჩვენი მეგობარი ქვეყნები ამ საკითხში რუსეთის მოკავშირენი არიან — ესე იგი, რუსეთი იზოლირებულად კი არ მოქმედებს, არამედ მათთან ერთად.

და, კიდევ: არსებობს ამ საკითხის ზნეობრივი მხარე — სამართლიანი მოგვარება კონფლიქტებისა არა მარტო ქართველთა, არამედ თვით აფხაზთა, ოსთა, ყველა ეროვნების ხალხთა ინტერესებს წარმოადგენს. ასე რომ, რუსეთის აქტიური მოქმედება ამ თვალსაზრისით ყოველმხრივ გამართლებული იქნება პოლიტიკურად, ზნეობრივად, სახელმწიფოებრივად და საერთაშორისო თანამეგობრობის ინტერესებიდან გამომდინარე.

ლტოლვილებთან დაკავშირებით, ჩემი თხოვნით მოსკოვში ახალ, უფრო კონკრეტულ დოკუმენტებზეა ლაპარაკი. ძალიან პრინციპული საკითხები წყდება, თუ როგორი უნდა იყოს, ვთქვათ, აფხაზეთის ადგილი საქართველოს ფედერაციულ სახელმწიფოში და სხვა. ჩემი რწმუნება აქვს ბატონ ვაჟა ლორთქიფანიძეს და იგი მუშაობს. ჩემი სპეციალური თხოვნით ბატონი თამაზ ნადარეიშვილი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ ერქვანია და სხვები მოსკოვს გაფრინდნენ და მონაწილეობენ მოლაპარაკებაში, იქ არის ჩასული აფხაზეთის დელეგაციაც. ვნახოთ, რას მოგვიტანს კიდევ ერთი ეტაპი, ერთი ტური, ზედმეტ დაპირებებს ახლა ვერ ვიძლევი, რადგანაც იცით, გამოცდილება საკმაოდ მწარე გვაქვს, მინდა მჯეროდეს, რომ ამჯერად რუსეთის ხელმძღვანელობის ცდა — ჩვენთან და მსოფლიოს თანამეგობრობასთან ერთად წერტილი დაუსვას ამ კონფლიქტებს — შედეგიანი იქნება.

„უფრო იმედიანად შევხვდეთ მომავალს“

ევროკავშირმა მიიღო კიდევ ერთი გადაწყვეტილება საქართველოსათვის მნიშვნელოვანი დახმარების გაწევის შესახებ

საქართველო კვლავ მიიღებს დროულ, მნიშვნელოვან და ეფექტიან დახმარებას. შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო ევროკავშირმა 17 ივლისს გამართული ევროკავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე.

ამ გადაწყვეტილების თანახმად, ამიერკავკასიის სახელმწიფოების, აგრეთვე ტაჯიკეთისა და ყირგიზეთისათვის 1995-1996 წლებში გამოყოფენ 197 მილიონ ეკიუს სურსათითა და სოფლის მეურნეობის პროდუქტებით დახმარების მიზნით (1994-1995 წლებში ევროკავშირმა გამოყო 204 მილიონი ეკიუ, საქართველომ მიიღო 47 მილიონი). როგორც ბენილუქსის ქვეყნებსა და ევროკავშირში საქართველოს რესპუბლიკის ელჩი ზურაბ აბაშიძე იტყობინება, ამჯერად ძირითადი ყურადღება დაეთმობა სოფლის მეურნეობის განვითარებასა და რესტრუქტურიზაციას და ადგილობრივ კომუნიკაციათა გაუმჯობესებას. კერძოდ, საქმე ეხება თესლისა და შხამქიმიკატების მოწოდებას, რომელთა იდენტიფიკაციისათვის სექტემბრის დამლევს საქართველოს ეწვევა ევროკომისიის ექსპერტთა ჯგუფი.

ევროკომისიის წინასწარი მონაცემებით, საქართველოსთვის შეიძენენ 150-200 ათას ტონა მარცვლეულს, რომლის მოწოდება ნოემბრიდან უნდა დაიწყოს.

საქართველოს რკინიგზისათვის სათადარიგო ნაწილების შესაძენად გათვალისწინებულია 5 მილიონი ეკიუს გამოყოფა.

ამ ოპერაციის განხორციელებასთან დაკავშირებული მემორანდუმის პროექტს განიხილავს ევროკომისიის დელეგაცია ბატონ ჯ. პიტერსის მეთაურობით. იგი თბილისში აგვისტოს შუა რიცხვებისათვის ჩამოვა. მემორანდუმის ხელმოწერა ბრიუსელში სექტემბრის დამლევისათვის არის დაგეგმილი.

ევროკავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებას უძღოდა ოფიციალური წერილი, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ გაუგზავნა ესპანეთის პრემიერ-მინისტრს ფელიპე გონსალესს (როგორც ცნობილია, ამჟამად ევროკავშირის საბჭოს სწორედ ესპანეთი თავმჯდომარეობს). წერილში ნათქვამია:

„მაქვს პატივი გულწრფელად მოგესალმოთ და მოგმართოთ თხოვნით ჩემი და მთელი ქართველი ხალხის სახელით.

როგორც იცით, ამა წლის 17 ივლისს ევროკავშირის მინისტრთა საბჭო განიხილავს კავკასიის ქვეყნებისათვის საკვები პროდუქტებით ფართომასშტაბიანი დახმარების საკითხს, რომლის დადებითად გადაწყვეტასაც უაღრესად სასიცოცხლო მნიშვნელობას ვანიჭებთ ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების და მომავალი მძიმე ზამთრის ფონზე.

ჩვენი მოკრძალებული თხოვნა იქნება, რომ ესპანეთმა მხარი დაუჭიროს ამ საკითხის ჩვენი ქვეყნისათვის სასარგებლოდ გადაწყვეტას, მით უმეტეს, რომ თქვენი ქვეყანა ამჟამად თავმჯდომარეობს ევროკავშირის საბჭოში.

ბატონო თავმჯდომარე, ჩვენ დიდად ვაფასებთ იმ მატერიალურ და მორალურ მხარდაჭერას, რომელსაც ევროკავშირი და მათ შორის, ესპანეთის მთავრობა უწევს გარდამავალ პერიოდში მყოფ საქართველოს ახალგაზრდა სახელმწიფოს.

გამოვთქვამ იმედს, რომ ამჯერადაც ესპანეთის მთავრობა ყურად იღებს ჩვენს თხოვნას და მოგვცემს საშუალებას უფრო იმედიანად შევხვდეთ მომავალს“.

სასიხარულოა, რომ სახელმწიფოს მეთაურის წერილს საქართველოსათვის სასურველი შედეგი მოჰყვა.

ჯერ შემოწმება აჯობებდა...

(დასასრული)

ჩვენს მიერ, მაგრამ შედეგი ჯერ არ ჩანს.

კონტროლის რეგიონულმა პალატამ ორი თვე მოანდომა სატყეო მეურნეობების შემოწმებას. ობიექტური კაცი მოიძიებდა ამ მასალებს და მართალ სურათს მიაწვდიდა მკითხველს. არც ეს გაკეთებულა, სამწუხაროდ.

წერილის ერთი პასაჟი კიკიბოსა და ლაღვის ტყეებში გაჩენილ ხანძარს შეეხება. იმ მძიმე დღეებში მთელი რაიონი, ცოტა მოგვიანებით კი — მხარე, იყო მობილიზებული მის ჩასაქრობად, კონტროლს უწევდა თვით სახელმწიფოს მეთაური, პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია პირადად იყო ხანძრის კერაში; ყოველ საღამოს მე, როგორც გამგებელი და შტაბის ხელმძღვანელი, სწორედ მას ვაბარებდი ანგარიშს გაწეული მუშაობისა და მეორე დღის გეგმების შესახებ. დიდად დაგვეხმარა მაშინ ბატონი თემურ ფიფია, მეთაურის აპარატის რეგიონული მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონმა შოთა კვირაიამ, შინაგან საქმეთა მინისტრმა უსასყიდლოდ გამოგვიგზავნა ხუთი ტონა ბენზინი, ჩამოვიდნენ სპეციალისტები. ხანძრის ქრობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელობამ, მხარეში შემავალი რაიონების გამგეობებმა, სახანძრო რაზმებმა, სატყეო დეპარტამენტმა, მაშველთა კორპუსმა, ახალციხის სამხედრო ბრიგადის მებრძოლებმა, რუსეთის დივიზიის სპეცნაწილებმა, ხაშურის სახანძრო რაზმმა... მთელი საქართველო გვეხმარებოდა. რა თქმა უნდა, უდიდესი როლი შეასრულა რაიონის მოსახლეობამ, ყოველდღიურად 800 კაცი გამოდიოდა ცეცხლის ხაზზე. მეუხერხულება კიდეც აქ გამგეობის როლზე საუბარი, მაგრამ საქმეში ოდნავ ჩახედული კაცისთვისაც კი ცხადია, რომ ყველაფერ ამას ორგანიზება უნდოდა. ვაგვარებდით კვებისა და დასვენების, უსაფრთხოების წესების დაცვის, საწვავის, ტექნიკის დისლოკაციის, ხანძართან ბრძოლის საკითხებს და უამრავ სხვას. კორესპონდენტმა კი მხოლოდ კოკისპირული წვიმის იმედად დარჩენილებად წარმოუდგინა ჩვენი თავი საქართველოს.

ახლა, ორიოდე სიტყვით, პროფესიული ეთიკის შესახებ.

ფოტოსურათი, რომელიც სტატიას „ამშვენებს“, ქარსაცავ ზოლშია გადაღებული. „ტყის განადგურების“ ეს ფაქტი ყოფილი გამგებლის პერიოდშია განხორციელებული. ნებისმიერი მეტყევე დაადასტურებს რომ ხეები აქ მინიმუმ ერთი წლის წინაა გადაჭრილი.

ეტყობა, ფაქტების მოპოვება გაუძნელდათ ჟურნალისტებს. სიამოვნებით დავეხმარებოდი, მაგრამ მათი ჩამოსვლის შესახებ მხოლოდ დღის მეორე ნახევარში გავიგე, როდესაც კახარეთის ჰიდროელექტროსადგურის არხზე მყოფს (ამ სადგურის აღდგენას ვცდილობთ შემოდგომისთვის), მომაკითხა უდეს მცხოვრებთა ჯგუფმა და მითხრეს, რომ ჩამოსული არიან ჟურნალისტები და, მათი აზრით, იჩენდნენ უკიდურეს ტენდენციურობას. დავამშვიდე, რას წარმოვიდგენდი, რომ ისინი არ შეეცდებოდნენ ჩემს ნახვას. ვთხოვე ჩემს მოადგილეს, მოეძებნა სტუმრები და დაედგინა მათი ჩამოსვლის მიზანი, ამასთანავე მოეპატიჟებინა გამგეობაში. გვიან ღამით შემატყობინა მოადგილემ, რომ ჟურნალისტები 26-ში დილით 10 საათზე მოვიდოდნენ. მეორე დილით სტუმრები არ გამოცხადდნენ არც ათზე, არც თერთმეტზე და არც თორმეტ საათზე.

იმედი გადამეწურა და დავაპირე ახალციხეში ჩასვლა სადღესასწაულო ალლუმზე. სწორედ ამ დროს შემომესმა პირველ სართულზე ჩოჩქოლის ხმა. იმ წუთასვე ჩავედი და სიტუაცია უკვე განმუხტული დამხვდა. ჟურნალისტები მოვიპატიჟე კაბინეტში, საქმეში უკვე ჩარეულიყვნენ პროკურორი, პოლიციის უფროსი, მისი მოადგილე და სხვები, აღშფოთებულ მოქალაქეთა ჯგუფმა მართლაც არ მოგვცა ნორმალური საუბრის საშუალება. ორივე მხარე ერთმანეთს სდებდა ბრალს ინციდენტთან დაკავშირებით. ყველაფერი ეს დაფიქსირებულია ჩვენებების სახით, არიან დაკითხულნი მოწმეები. ვთხოვე ორივე მხარეს დაწყნარებულიყვნენ და შევთავაზე სტუმრებს ჩემი ყოველგვარი დახმარება.

კონფლიქტი (დეტალებზე არ შევჩერდები, ყველაფერი ხდება) ჩაცხრა.

ტელევიზიის კორესპონდენტი ტელევიზიის ხელმძღვანელობას, ბატონ ედნარ გიორგობიანს დავუკავშირე. ვესაუბრე მეც. ბატონმა ედნარმა მითხრა, რომ გაარკვევს, ვის მიერაა ეს ჯგუფი ადიგენში მივლინებით გამოგზავნილი! მთხოვა, უზრუნველმეყო მისი თანამშრომლების თბილისში გამომგზავრება, შემომთავაზა ინტერვიუს ჩაწერა ჩემთან. სამწუხაროდ, კორესპონდენტმა უ. გოგაშვილმა ვერ შეძლო ამის გაკეთება აღელვების გამო და მთხოვა თბილისში ჩაგვეწერა ეს ინტერვიუ. სამაგიეროდ „საქართველოს რესპუბლიკის“ წარმომადგენელმა ჩამომართვა ინტერვიუ. სამწუხაროდ, ეს ინტერვიუ საოცარი ხარვეზებითაა სავსე.

პუბლიკაციაში წერია, რომ მე „გვარიანად შეფიქრიანებულმა“ ვთქვი — „აზრის გამოთქმის და თქვენთან ამ განწყობით საუბრის საშუალება თუ მომეცემოდა, არ მეგონაო“. სინამდვილეში სიტყვასიტყვით ვთქვი: „მე ვთვლი, თქვენი შეცდომა სწორედ ისაა, რომ გამგეობას აუარეთ გვერდი და რაიონში ისე დაიწყეთ მოქმედება, რამაც გამოიწვია სწორედ ექსცესი, თორემ ჩვენ უამრავი ჟურნალისტი გაგვისტუმრებია და ვერც ერთი ვერ იტყვის, რომ რაიმეში შევზღუდეთ ან არანორმალური საუბარი გვქონია ერთმანეთთან“. წერილში მოყვანილი ფაქტების შესახებ ჟურნალისტს არც ერთი შეკითხვა არ დაუსვამს ჩემთვის.

ბოლოს, ორიოდე სიტყვა დეპეშის შესახებ, რომელიც ადასტურებს, თუ ვინ დგას მთელი ამ ისტორიის უკან. დეპეშის ტექსტი სიცრუისა და დემაგოგიის ნიმუშია. თუნდაც ერთი ფაქტი კმარა (თავი რომ არ შევაწყინოთ): არავითარ შეზღუდვას ადიგენისა და ახალციხის საფოსტო განყოფილებებში ადგილი არ ჰქონია. დეპეშის ავტორებს არც კი მიუკითხავთ ამ განყოფილებებისთვის, და ეს იმ დროს, როდესაც სახელმწიფოს მეთაურის აპარატი ლამის წალეკოს მსგავსმა „დეპეშებმა“, რომელთა გაგზავნა ყოველთვის „ხერხდებოდა“ ადიგენიდან და ახალციხიდან. ესეც ისეთივე რიგის ფაქტებს განეკუთვნება, რომელთა შემოწმება ძალზე იოლია, თუნდაც თვით მეთაურის აპარატში, ამისათვის მხოლოდ სურვილია საჭირო.

მიხეილ თუმანიშვილი,
ადიგენის ადგილობრივი მმართველობის რაიონული გამგეობის თავმჯდომარე.

P. S. ბატონო რედაქტორო!
დიდი ბოდიში მინდა მოვიხადო ვრცელი წერილისათვის, საერთოდ მომხდარი ინცინდენტის გამო და გამოვთქვა რწმენა, რომ თქვენი გაზეთი ადგილს დაუთმობს ჩემს პასუხს.



ფეიქრები წარმოებას უბრუნდებიან

(დასასრული)

რმადობით, მასშტაბურობითა და გაქანებით, როგორც ჩვენ გვსურს, მაგრამ არც ისეთი კოჭლობითა და სასომიხდით, როგორც ეს ზოგიერთებს სწადიათ.

— მაისში 62 მილიარდი კუპონის პროდუქცია ვაწარმოეთ. მათთვის, ვინც პირველ ნაბიჯებს დგამს, ეს ციფრი ურიგო როდია. შარშანდელი ნოემბრის შემდეგ დაზგებიდან პირველად გადმოვიდა გორული ქსოვილი. ივნისში გამოშვებული პროდუქციის ოდენობა გაორმაგდება, — ამბობს გორელ ფეიქართა თავკაცი მერაბ ნიკარაძე და განაგრძობს: — დღეს ჩვენს ფაბრიკებში 700 კაცია დასაქმებული. ეს იმის მეექვსედია, რაც ადრე, 1990 წლამდე მუშაობდა, და მაინც: სააქციო საზოგადოება „ლაინი“ შრომობს, იღვწის, საქმიანობს. წელში გავიმართებით, ავეწყობით და ბევრი ჩვენი ფეიქარი, დღეს რომ თურქეთის გზაზეა გაკრული ან აქ ბაზრობებზე რომ ყიდულობს და ყიდის, თავისი მშობლიური საწარმოსკენ იბრუნებს პირს. მჯერა.

ჩვენც გვჯერა, რომ ასე იქნება.

გურამ ვაშაკიძე,
„სრ“ საკ. კორ.

სურათზე: № 2 სართავი ფაბრიკის სადუნტე-საფთილე საამქროში.

ნიკო კალანდაძის ფოტო.

განვიხილავთ კონსტიტუციის პროექტს

რამდენიმე შენიშვნა

მიმაჩნია, რომ პროექტი დიდი და დაუღალავი შრომის ნაყოფია. იგი მოიცავს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი მოწყობის, წყობილების, მისი პოლიტიკის, ეკონომიკის, სამართლის, ადამიანის, მის სულიერ ღირებულებათა ყველა სასიცოცხლო საკითხებს. ვინც კონსტიტუციის პროექტს გაეცნობა, თავად დარწმუნდება ამაში.

ამასთანავე, არ შეიძლება ასეთ მრავლისმომცველ დოკუმენტში ყველაფერი ისე ზუსტად იყოს გააზრებული, რომ საჯაროდ განხილვისათვის გამოტანა არაფერს შესძენდეს პროექტს. არის მასში ზოგი რამ სადავო და საჩოთიროც.

როგორც იურისტი, ძირითადად შევეხები სამართლებრივ საკითხებს. მის პირველ, მეორე და მეექვსე თავს და ავღნიშნავ, თუ რა მიმაჩნია საკამათოდ.

მუხლი 2. მისი პირველი და მეორე პუნქტის გადმოცემა არ არის გამართული, მუხლის ჩამოყალიბება უფრო სწორი იქნებოდა ასეთნაირად: „1. **საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი, რომელიც თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, დემოკრატიის სხვა ნებისმიერი ფორმების და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით. 2. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციის დადგენილ ფარგლებში**“.

თემაში, რომ სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი, თუ როგორ ახორციელებს იგი თავის ძალაუფლებას, ჩასმულია ხელისუფლების კონსტიტუციით განხორციელების ფარგლები (ეს უნდა გამოიყოს ცალკე პუნქტად). ე. წ. ორ ერთგვაროვან საკითხში სხვა საკითხია ჩასმული. აქვე გაუგებარია, თუ რას ნიშნავს „უშუალო დემოკრატია“, ამიტომ ვფიქრობ უფრო მიესადაგება სიტყვა — „ნებისმიერი“.

მე-7, მე-8 და მე-9 მუხლების ერთ მუხლში და სამ პუნქტად გაერთიანება უფრო აჯობებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დაქუცმაცებული მუხლების შთაბეჭდილებას ტოვებენ.

თავი მეორე. მუხლი 18. აქ მინიშნებულია სასჯელის უმაღლესი ზომის თაობაზე, რაც მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნების კონსტიტუციებთან გვაახლოებს, მაგრამ მეორე წინადადებაში მიზანშეწონილად მიმაჩნია, უფრო რადიკალური იყოს ეს მუხლი და ჩამოყალიბდეს ასე: „**გარდა ორგანული კანონით დადგენილი განსაკუთრებული გამონაკლისი შემთხვევებისა**“.

მუხლი 16. მე-2 პუნქტში წინადადება უნდა იწყებოდეს სიტყვით „ადამიანის“ ისე, როგორც პირველ პუნქტში.

მე-8 პუნქტი ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ აქ მოცემულია, რომ დაკავებული პირი არაუგვიანეს 48 საათისა უნდა წარედგინოს უახლოეს სასამართლოს დასაკითხად, ხოლო იქვე მითითებულია, რომ სასამართლომ უნდა გაარკვიოს მისი დაკავების კანონიერება. ასეთ შემთხვევაში უნდა იყოს: **წარადგინოს არა დასაკითხად, არამედ დაკავების კანონიერების დასადგენად.** ეს კი მხოლოდ დაკავებულის დაკითხვით შეუძლებელია.

მე-6 პუნქტი დაზუსტებას მოითხოვს. აღნიშნულია, რომ დაკავებულს დაკავებისთანავე „**შეუძლია მოითხოვოს ადვოკატის დახმარება**“. ნაცვლად ამისა, უნდა იყოს: „**იგი დაკავებისთანავე უზრუნველყოფილი უნდა იყოს ადვოკატის დახმარებით**“.

ასეთ შემთხვევაში ვალდებულება გამოძიებას დააწვება. „შეუძლია“, ეს ის მოთხოვნა არ არის, რომელიც რაიმეს ავალებს გამოძიებას.

მუხლი 24. პუნქტი მე-4 დასახვეწია. თუ პოლიტიკური გაერთიანების წევრი არ შეიძლება იყოს პროკურორი, მაშინ რა ვუყოთ გამომძიებელს ან სხვა მუშაკს. ან რას ნიშნავს სხვა თანამშრომლებზე „ირიცხებოდეს“?

მუხლი 28. პუნქტი პირველი ასე უნდა ჩამოყალიბდეს: „**უდანაშაულობის პრეზუმფციის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების მიხედვით**“... და შემდეგ როგორც ამ პუნქტშია. ამის აღნიშვნა ჩვენს კონსტიტუციაში, თუნდაც ერთხელ მაინც, აუცილებელია.

პუნქტი 2. „არავინ არ არის“... არ ვარგა, უნდა იყოს „**დაკავებული**“ და შემდეგ როგორც ამ პუნქტშია.

მუხლი 88. პუნქტი პირველი. აქ აღნიშნულია, რომ „**ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს**“. ესეც ცუდი თარგმანია. არ ვარგა „უფლება აქვს თავის უფლებათა“, არც „თავის უფლებათა“ და „თავისუფლებათა“, აქ ორჯერ არის ნახმარი „თავისუფლებათა“, ოღონდ პირველ შემთხვევაში დანაწევრებულია „თავის უფლებათა“...

უმჯობესია: „**ყოველ ადამიანს შეუძლია უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად**“.

პუნქტი 2. არ ვარგა: „**ყოველი პირი უნდა განისაჯოს**“... „განისაჯოს“ რაღაა! უმჯობესია ასე: „**ყოველი პირის საქმე უნდა განიხილოს იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი განსჯადობა**“.

ახალია ჩვენს კონსტიტუციაში სახალხო დამცველის ინსტიტუტი. ამ საკითხს ცალკე მუხლები არ შეიცავს. მას დათმობილი აქვს 38-ე მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტები, რის გამოც დაუკმაყოფილებლობის გრძნობა გრჩება. კერძოდ, არ არის გამოკვეთილი — იგი დამოუკიდებელია თუ ვინმეს ემორჩილება, ვის წინაშეა ანგარიშვალდებული. თუ ეს საკითხი დაზუსტდება, აუცილებელი იქნება ჩაიწეროს, რომ **სახალხო დამცველები დამოუკიდებლები არიან და ემორჩილებიან მხოლოდ კანონს ისე, როგორც მოსამართლეები, ან ემორჩილებიან პარლამენტს. ეს აუცილებელია.**

თავი მეექვსე. მუხლი 88. პუნქტი 3. ეჭვს არ იწვევს, რომ სასამართლოს აქტები (განაჩენები, გადაწყვეტილებები, კერძო განჩინებანი და ა. შ.) სავალდებულოა ყველა ორგანოსა და პირთათვის, მაგრამ აქვე აუცილებელია მიემატოს წინადადება: „**დამრღვევი სახელმწიფო ორგანოს ხელმძღვანელი თუ კერძო პირი დაისჯება კანონით**“.

პუნქტი 86. რამდენადაც არ უნდა გამინაწყენდნენ დღევანდელი თუ მომავალი მოსამართლეები, ჩვენს სინამდვილეში მანკიერი შედეგი ექნება მოსამართლეთა უვადოდ არჩევას.

გაუგებარია **87-ე მუხლის** მოთხოვნა. თუ როგორ უნდა განახორციელოს სახელმწიფომ მოსამართლის და მისი ოჯახის უსაფრთხოება, ალბათ მცველები უნდა გამოუყოს, როგორც მაღალი თანამდებობის პირებს, მაგრამ ეს, ფაქტობრივად, ხომ შეუძლებელია!

ერთ საკითხსაც შევეხები და ამით დავამთავრებ. კერძოდ, **მე-9 თავი** ეხება საქართველოს ტერიტორიულ მოწყობას. ეს საკითხი სადავო არ უნდა იყოს, მაგრამ მაქვს ერთი შენიშვნა: რას ნიშნავს ცხინვალის რეგიონი? ისიც ისეთივე ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი ერთეული უნდა იყოს, როგორც სხვა მხარეები, ვთქვათ ქართლი ან სამეგრელო. რატომ უნდა შემოვიტანოთ ხმარებაში „რეგიონი“, როცა გვაქვს მხარეები. თუ როგორი იქნება მისი საზღვრები, ეს ცალკე განხილვის საგანია.

ოთარ ბერიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონკურსში გამარჯვებული

„ღირსება ყველასათვის— პატივისცემა ქალებს"

ეს გახლავთ წლევანდელი დევიზი წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო მოძრაობისა. ქალთა დაცვის საკითხს ყოველთვის ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, რადგან პლანეტაზე მიმდინარე ომები, სისხლისღვრა და მსხვერპლი უმეტესწილად მათზე, ბავშვებსა და მოხუცებზე მოდიოდა. საომარ მოქმედებისას ისინი, სამწუხაროდ, დაუცველნი არიან. უმწეო ქალები, კონფლიქტის მონაწილე მამაკაცებისაგან განსხვავებით, ამორალური ქმედობის და ენით აუწერელი სისასტიკის მსხვერპლნი ხდებიან. ყოველივე ეს საერთაშორისო ნორმების დარღვევაა, მაგრამ მტერი ამ შეგონებას კონფლიქტის ტერიტორიაზე არად მიიჩნევს. იქ, ომში მას თავი ყოვლისშემძლედ მიაჩნია, ისიც კი შეუძლია, არაადამიანური ფორმა გამოიყენოს და, შეტევის მოგების მიზნით, მამის, ძმისა და მეუღლის წინაშე ბავშვიანად ქალები ადამიანთა ხოცვის ჯოჯოხეთური იარაღის ძალით წინ გამოიგდოს და „გამოირეკოს". ასეთი ფაქტები უამრავია! მსგავსი მაგალითები, სამწუხაროდ, საქართველოსაც არ აკლია. ამიტომ იყო, რომ თბილისში განსაკუთრებულად აღინიშნა წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების საერთაშორისო დღე.

ითელი ჯვრის საერთაშორი-
დღესთან დაკავშირებით, სა-
თველოს წითელი ჯვრის სა-
დოების და წითელი ჯვრის
თაშორისო ფედერაციის თა-
ობით მოეწყო სპეციალური
ტიკური ფოტოკონკურსი.

კონკურსის გამარჯვებულთა შორის არის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" წამყვანი ფოტოკორესპონდენტი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე **სიმონ კილაძე**; ჟიურის გადაწყვეტილებით მას მიენიჭა პირველი პრემია და ფასიანი პრიზი — ახალი იაპონური ფოტოკამერა „პენტაქსი-115".

ვულოცავთ ჩვენს კოლეგას დამსახურებულ გამარჯვებას, და მკითხველს ვთავაზობთ კონკურსში გამარჯვებულ ფოტოს.

ისრაელის მოქალაქემ თბილისში დაიცვა დისერტაცია

ამდენიმე წელიწადია, რაც ივანე ჯავახიშვი-
ს სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსი-
ში ფუნქციონირებს პოლიტოლოგიაში სამე-
ერო ხარისხების მიმნიჭებელი სამეცნიერო-სა-
ტაციო საბჭო. ახლახან აქ საკანდიდატო დისე-
ცია დაიცვა პირველმა უცხოელმა — ისრაე-
ს მოქალაქემ დავით ბოთერაშვილმა. მისი სა-
რტაციო თემა იყო „საბჭოთა ტოტალიტარი-
ს კრახის პოლიტოლოგიური ანალიზი", რომელ-
ხელმძღვანელობა გაუწია პროფესორმა აკაკი
მაძემ.

დისერტანტმა ქართულ სინამდვილეში პირველად აჩვენა თანამედროვე დასავლეთის პოლიტიკური აზრი საბჭოთა ტოტალიტარიზმის დაშლის მიზეზებსა და პოსტკომუნისტური განვითარების დემოკრატიულ პროცესებზე. საბჭოს წევრებმა ერთხმად მიანიჭეს მას პოლიტიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

გურამ აბესაძე,
თსუ პოლიტოლოგიის კათედრის დოცენტი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ტერიანობა ჯავახეთში

სომხური ლირიკის ერთ-ერთი
ბრწყინვალესი ოსტატი ვაჰან
რიანი ჯავახეთიდან იყო. 28
ლისს მისი ხსოვნისადმი მიძღ-
ლი ტრადიციული დღესასწაული
ედმერვედ იზეიმა მშობლიურ-
მხარემ.

ნინოწმინდის რაიონის სოფელ
ძაში, სადაც დაიბადა და გაი-
რდა ვაჰან ტერიანი, თავი მოი-
რეს მისი პიროვნებისა და პოე-
ის თაყვანისმცემლებმა, ქართუ-
ო და სომხური კულტურის, ხე-
ოვნების, მეცნიერების გამოჩე-
ლმა მოღვაწეებმა. თავიანთ
მოსვლებში ისინი პატივს მია-
ებდნენ ჭეშმარიტად დიდ პოე-
ა და მოქალაქეს, კიდევ ერთ-
ლ ადასტურებდნენ ორი ერის
ობასა და მეგობრობას.
„ტერიანობა" — ასე ეძახიან
ამ ტრადიციულ დღესასწაულს

აქაურები. პარლამენტის სპიკერმა ვახტანგ გოგუაძემ კი ქართველ და სომეხ ხალხს შორის მეგობრობის სიმბოლო უწოდა მას. იგი სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძისა და პარლამენტის სახელით მიესალმა ზეიმის მონაწილეებს და გამოთქვა რწმენა სომეხთა და ქართველთა ურღვევი ძმობის, მეგობრობისა და ერთობისა.

ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ჯავახეთი და იცნობს ტერიანის პოეზიას, არ გაუკვირდება პოეტის ლექსებში ამ კუთხისადმი გამჟღავნებული უსაზღვრო სიყვარული. საქართველო რომ მისთვის უძვირფასესი, საოცნებო და სანეტარო მიწა იყო, ბევრჯერ გამოუხატავს ლექსებსა თუ კერძო წერილებში. ამის ჭეშმარიტი დადასტურებაა მის მიერ ქართული ენის ზედმიწევნით შესწავლა და „ვეფხისტყაოსნის" პროლოგის თარგმნა, რომელსაც ნიკო მარმა „მზის ნატეხი" უწოდა. ვაჰან ტერიანი 35 წლისა გარდაიცვალა.

ზეიმზე სიტყვებით გამოვიდნენ თბილისიდან ჩასული სტუმრები: პოეტი-მთარგმნელი გივი შახნაზარი, საქართველოს მწერალთა კავშირის სომხური სექციის ხელმძღვანელი ბენიკ სეირანიანი, გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანის" რედაქტორი ვან ბაიბურთი, პარლამენტის წევრი ყორა სნხჩიანი. სომხეთის დელეგაციის წარმომადგენლები.

მშვენიერი იყო ორი ერის მეგობრობისა და სიყვარულის ეს ზეიმი.

რუსუდან ლორთქიფანიძე.

მადლობის სიტყვები

ამ რამდენიმე დღის წინ ქალაქ თბილისის საგზაო პოლიციის სამმართველოს უფროსმა ბატონმა როლანდ ჩარგეიშვილმა და სამმართველოს კოლექტივმა მიიღეს წერილი, რომელსაც ხელს აწერს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე თამაზ ნადარეიშვილი. მასში ნათქვამია:

ბატონო როლანდ, აფხაზეთში დატრიალებულმა ტრაგედიამ დიდი განსაცდელი დაატეხა თავს აფხაზეთის მოსახლეობას და მთელ ქართველ ხალხს, მშობლიური კერებიდან აყრილია და გამოდევნილია ასიათასობით უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობა. მორალურად და ფსიქოლოგიურად განადგურებულ ხალხს საქართველოს სხვადასხვა კუთხესა და ქალაქში გაუწიეს თანადგომა და მისცეს თავშესაფარი.

მინდა, დიდი პატივისცემით მადლობა მოვახსენო ქ. თბილისის საგზაო პოლიციის მთელ კოლექტივს და პირადად თქვენ გამოჩენილი გულისხმიერებისა და ყურადღებისათვის. თქვენი წყალობით ქ. თბილისში ფუნქციონირებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საგზაო პოლიცია, რომელიც უდიდესი მადლიერებით აფასებს ყოველივე იმას, რასაც თქვენ აკეთებთ მისთვის.

ვსარგებლობ შემთხვევით, და თქვენ და თქვენი კოლექტივის წევრებს მადლობას მოგახსენებთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი სიმამაცისა და ვაჟკაცობისათვის.

სარედაქციო ფოსტიდან

ისტორია ჭეშმარიტებას არ დამალავს

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქტორს

ბატონო რედაქტორო! მისასალმებელია, რომ თქვენი გაზეთის ფურცლებზე დაიწყო ბატონ ანზორ თოთაძის ამონარიდების ბეჭდვა მისი ახლახან დამთავრებული წიგნიდან „აფხაზეთის მოსახლეობა: ისტორია და თანამედროვეობა", რომელიც ქართველი ხალხის ყველაზე დიდ სატკივარს ეძღვნება. მათში პირუთვნელად და მიუკერძოებლად არის გაშუქებული საქართველოს ძირძველი კუთხის — აფხაზეთის მოსახლეობის პრობლემები.

ავტორი მრავალი ფაქტისა და დოკუმენტის მოხმობით წარმოაჩენს ისტორიულ სინამდვილეს. ალბათ, თქვენი გაზეთი მთლიანად დაბეჭდავს აღნიშნული პრობლემებისადმი მიძღვნილი სტატიების სერიას, მაგრამ, ვფიქრობთ, მეტად კარგ საქმეს გააკეთებდით, თუ ამ წიგნს ცალკე გამოვცემდით ქართულ და რუსულ ენებზე.

აქვე გამოვთქვამთ იმედს, რომ ამ უაღრესად საჭირო გამოცემას გამოუჩნდება სპონსორი, რომელიც არ დაიშურებს სახსრებს საერთო ეროვნული საქმის დასაფინანსებლად. ეს მით უფრო საჭიროა, რომ დღეს ქვეყნდება ზოგიერთი აფხაზი და მათი დამქაში ავტორების მრავალი პუბლიკაცია, სადაც გარკვეული პოლიტიკური და იდეოლოგიური მოსაზრებებით აშკარად დამახინჯებულად არის გაშუქებული აფხაზეთის ისტორიასა და თანამედროვეობასთან დაკავშირებული პრობლემები.

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრები: **ზ. ლომსაძე, მ. ქაჯაია, ბ. ახმეტელი, გ. აბალაკი, მ. მანჭულაშვილი, ა. ტაკიძე, ბ. შაიშმელაშვილი, ჯ. გორგოძე, თ. კალანდაძე, ჯ. ჩარკვიანი, ი. ჭელიძე.**

აქ პურს მეპურეები აცხობენ!..

მაშ, ვინ უნდა აცხობდეს! — გაიკვირვებს მავანი. ხდება ხოლმე! დიახ, ვის არ სმენია ხატოვანი გამოთქმა — პურს მეპურე უნდა აცხობდესო!.. რასაკვირველია, იგი მარტო ხაბაზზე როდია ნათქვამი. დღევანდელ საქართველოში ხშირად ნალბანდი ხაბაზობს და დახლიდარი პოლიტიკოსობს. ამიტომაცაა არეული მონასტერი.

ზესტაფონის პურკომბინატს, ეს ერთი ხანია, ისეთი პროფესიონალი უდგას სათავეში, რომელსაც, კიდევაც რომ არ დაემთავრებინა თავის დროზე ბათუმის საბჭოთა ვაჭრობის ტექნოლოგიის ტექნიკუმი და მერე ლვოვის კოოპერაციული ინსტიტუტის თბილისის ფილიალი პურის ცხობის განხრით, ისედაც მდიდარი ცხოვრებისეული გამოცდილება ჰქონდა ამ მხრივ და საქმესაც იოლად გაართმევდა თავს. ამირან დეკანოსიძე სწორედ ბავშვობიდანვე ეზიარა ხაბაზობის მადლიან პროფესიას და ხუმრობს კიდევაც — თონეში არ დავბადებულვარ, თორემ იქ გავიზარდეო!.

ნებისმიერ საწარმოს, და მით უმეტეს, ისეთ უმნიშვნელოვანეს უბანს, როგორიც პურკომბინატია, ფხიზელი გონების, საბაზრო ეკონომიკაში გუმანით ჩახედული, საქმიანი ურთიერთობების უნარის მქონე პიროვნება უნდა უძღოდეს.

ჩვენი პირველი შეხვედრისას, მანამ, სანამ პირადად წარვუდგებოდი და მივლინების მიზანსაც გავაცნობდი, კაბინეტში, მასთან ერთად, დირექტორის მოადგილე (წარმოების უფროსი) ბ-ნი ვაჟა ზარნაძე და ერთი უცნობი ახალგაზრდა დამხვდნენ. იმ ახალგაზრდა კაცს დირექტორი მეტად კატეგორიული ტონით მიმართავდა და ამიტომაც დამამახსოვრდა: „ვერა, ძმაო, თქვენს საწარმოს პურკომბინატის ხაზზე ველარ დავტოვებთ. თუ იმიტომ გინდათ ჩვენს ხაზზე ყოფნა, რომ მუდმივი დენი გვაქვს, კი ბატონო, დადეთ ჩვენთან ხელშეკრულება, დაიყენეთ მრიცხველი, გადაიხადეთ ფული და მორჩა!.." ვფიქრობ, ყველაფერი გასაგებია.

ზესტაფონში, ისევე, როგორც ალბათ, მთელ საქართველოში, ყოველ ფეხის ნაბიჯზე წააწყდებით კერძო მეპურეების ნაწარმს; რა ფორმის, ზომისა თუ ფერის პურს არ სთავაზობენ ისინი მომხმარებელს, მაგრამ სახელმწიფო პურკომბინატის მუშაკთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დაკვირვებული მომხმარებელი ქარხნის პურს უფრო ეტანება — წონითაც მეტია და ხარისხითაც უკეთესიო!.. ეტანება და კიდევაც საღდება ყოველდღიურად 15-დან 17 ათასამდე ცალი პური.

უ. გრიგოლაშვილი.

მკვლელი უნდა დაისაჯოს

ამ წერილს ვწერ ჯარისკაცის მამა იმ განსხვავებით, რომ ჩემი შვილი ბაგრატ (ზაზა) ლევანის ძე თარგამაძე ფრონტზე იერიშის დროს კი არ დაღუპულა, არამედ, თბილისში თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს პისტოლეტის მზაკვრული გასროლით მოკლა „თანამოძმემ", ამჟამად ქ. მოსკოვში ფრუნზეს სახელობის აკადემიაში სასწავლებლად წარგზავნილმა სიმონ ალექსის ძე ქარჩაიძემ.

მკვლელობა შემდეგ ვითარებაში მოხდა: 1992 წლის 8 ოქტომბერს კახეთის გზატკეცილზე მოემართებოდა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს მე-11 ბრიგადის სატვირთო ავტომანქანა, რომელშიც ისხდნენ მძღოლი ზ. მაკასარაშვილი, ექიმები ა. ბურჯანაძე, ა. ზურაბიშვილი და ბაგრატ თარგამაძე.

მე-11 ბრიგადის სასურსათო სამსახურის უფროსს ბ. თარგამაძეს დავალებული ჰქონდა აეროპორტიდან ჰუმანიტარული ტვირთის — შაქრის ფხვნილის მიღება და სასაწყობო მეურნეობებისათვის ჩაბარება. ცხადია, იმ დროისათვის არსებული კრიმინალური მდგომარეობის პირობებში ხსენებული დავალების შესრულება საკმაოდ პასუხსაგებ და არცთუ ისე იოლ საქმეს წარმოადგენდა, ამიტომ ბ. თარგამაძე შეიარაღებული იყო მაკაროვის სისტემის პისტოლეტით.

მანქანას წამოეწია და ფარების რამდენჯერმე ანთება-ჩაქრობით გაჩერება ანიშნა თეთრი ფერის ჟიგულის მარკის უნომრო ავტომანქანამ, რომელშიც ისხდნენ მე-11 ბრიგადის ერთ-ერთი ბატალიონის მეთაური კაპიტანი ს. ქარჩაიძე და ორი მისი ხელქვეითი. მძღოლი ზ. მაკასარაშვილი ბ. თარგამაძეს შეეკითხა, გაეჩერებინა თუ არა მანქანა, რაზეც მან თანხმობით უპასუხა. მანქანებიდან რომ გადმოვიდნენ, მოხდა შელაპარაკება, რის შედეგად ს. ქარჩაიძემ ესროლა ბ. თარგამაძეს და მოკლა. ამის შემდეგ ს. ქარჩაიძე მიიმალა და მხოლოდ 1993 წლის მარტში გამოჩნდა. ბ. თარგამაძის მკვლელობის ფაქტი იმავე დღეს ზუსტად აღუწერეს სამართალდამცავ ორგანოებს ექიმებმა ა. ბურჯანაძემ, ა. ზურაბაშვილმა, მძღოლმა ზ. მაკასარაშვილმა.

შემდეგ სამხედრო პროკურატურამ რამდენჯერმე შეაცვლევინა ჩვენებანი სხვადასხვა პირებს, რომლებიც იქ იყვნენ. საბოლოოდ კი რატომღაც ქარჩაიძე გაათავისუფლეს. ცხადია, ყოველივე ეს დიდ უსამართლობად, კანონის და ზნეობის უხეშ დარღვევად მიგვაჩნია. მე როგორც დაღუპულის მამა, მოვითხოვ კანონიერების დაცვას, სწორ, ობიექტურ გამოძიებას და მკვლელის დასჯას.

ლევან თარგამაძე.

წერილების ექო

„დანაშაულს ჩქმალავენ"

რედაქციას უპასუხებს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი ვალერიან გოგოლაშვილი

წელს, პირველ ივლისს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" დაიბეჭდა ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის, დოცენტ გივი სამსონაძის წერილი სათაურით „დანაშაულს ჩქმალავენ".

ამასთან დაკავშირებით, 1995 წლის 3 ივლისს გამართულ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის ოპერატიულ თათბირზე განიხილეს აღნიშნული წერილი და მისი ავტორის შვილის კახა სამსონაძის დაღუპვის ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამომდინარე გამოძიების მსვლელობა.

ჭეშმარიტების დასადგენად გამოძიებას მიეცა კონკრეტული დავალებები საქმის მასალებიდან გამომდინარე და ბატონ გივი სამსონაძის წერილში მოყვანილი მოსაზრებების გათვალისწინებით.

უახლოეს მომავალში დამთავრდება აღნიშნული საქმის წინასწარი გამოძიება, რის შესახებაც დამატებით ეცნობება დაზარალებულ მხარეს.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

სარაევო-გროზნო: ყურადღების ცენტრში

საზღვარგარეთის საინფორმაციო საშუალებანი [illegible] გადაცემებს გროზნოში მიმდინარე სამშვიდობო მოლაპარაკებების პერსპექტივების და ბოსნია-ჰერცეგოვინაში შექმნილი უკიდურესად [illegible] ვითარების გაშუქებით იწყებენ.

მსოფლიო საზოგადოებრიობას ბოლო დღეებში დიდად აშფოთებს ბოსნიელი სერბების შეიარაღებული ფორმირებების მიერ გაეროს „უსაფრთხოების ზონებად" გამოცხადებულ მუსლიმანურ ანკლავებზე შეტევის დაწყება, რაც დიდ საფრთხეს უქმნის აგრეთვე თვით გაეროს სამშვიდობო ძალებს. კითხვის ქვეშ აყენებს თვით გაეროს და მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების პრესტიჟს. ბოსნიელმა სერბებმა არა მარტო აიღეს ბოსნიის აღმოსავლეთის ქალაქი სრებრენიცა, არამედ ალყაში მოაქციეს მეორე მუსლიმანური ანკლავი ჟეპა, დიდი საფრთხე ემუქრება დანარჩენ ოთხ „უსაფრთხოების ზონას", მათ შორის გორაჟდეს. საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და შეერთებული შტატები გადამჭრელი სამხედრო ზომების, შეიარაღებული ძალის გამოყენებით — მასირებული საჰაერო დაბომბვით და სწრაფი რეაგირების ძალების ჩართვით აპირებენ ალკვეთონ ბოსნიელ სერბთა მოქმედება.

პარასკევს, ლონდონში საერთაშორისო შეხვედრის მონაწილეებმა — „საერთაშორისო საკონტაქტო ჯგუფის" წევრებმა და იმ ქვეყნების წარმომადგენლებმა, რომლებმაც თავიანთი ჯარები გაგზავნეს გაეროს სამშვიდობო კონტინგენტში ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, მკაცრად გააფრთხილეს ბოსნიელი სერბები, რომ თუ გაგრძელდა მათი შეტევა „უსაფრთხოების ზონებზე", საფრთხე შეექმნება ბიხაჩსა და გორაჟდეს, ნატოს ავიაცია მასირებულ საჰაერო დარტყმებს მიაყენებს მათ პოზიციებს. სერიოზული შენიშვნები გამოთქვა დასავლეთის ქვეყნების პოზიციასთან დაკავშირებით რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანდრია კოზირევმა, მან თქვა, რომ დასავლეთის ქვეყნების მოწოდება ბოსნიელ სერბთა პოზიციებზე საჰაერო დარტყმების შესახებ არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც ძალისმიერ მეთოდებზე გადასვლის მანდატი, აღნიშნა, რომ ევროკავშირის საერთაშორისო კოორდინატორი — შუამავლის კარლ ბილტის შეხვედრაზე სერბიის პრეზიდენტ სობოდან მილოშევიჩთან ბოსნიის კრიზისის მშვიდობიანი მოწესრიგების რეალური პერსპექტივა დაისახა, ბილტმა კერძოდ განაცხადა, რომ მილოშევიჩი მზად არის ცნოს ბოსნია-ჰერცეგოვინა. ეს კი ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკების უმაღლესი დონის შეხვედრის საწინდარი იქნება. ჯერჯერობით ბოსნიასა და მის ირგვლივ ვითარება უკიდურესად დაძაბული რჩება.

სპარსეთის ყურის ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოს ექვსი წევრის უმაღლესი დონის შეხვედრამ დუბაიში, ჟენევაში არაბული კონფერენციის ქვეყნების საკონტაქტო ჯგუფის წევრებმა სოლიდარობა გამოუცხადეს ბოსნიის მთავრობას, მოითხოვეს ემბარგოს გაუქმება იარაღის მიწოდებაზე, რომის პაპმა იოანე პავლე II განაცხადა, რომ ბოსნიაში ფაქტობრივად ჩაიშალა მსოფლიო გაერთიანების სამი წლის ძალისხმევა მშვიდობიანი საშუალებებით მოეწესრიგებინათ ვითარება, ამასთანავე დასძინა, რომ ძალის გამოყენება მხოლოდ უკიდურესი ზომა უნდა იყოს. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა მიმართა რუსეთის პრეზიდენტს ბორის ელცინს, მსოფლიოს ლიდერებმა საგანგებოდ განიხილეს ბოსნია-ჰერცეგოვინაში შექმნილი სიტუაცია.

ეს გასაგებიცაა, ბოსნიის კრიზისმა კითხვის ქვეშ დასვა არა მარტო გაეროს, მსოფლიოს სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, აგრეთვე მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ავტორიტეტი. უნდა გადაწყდეს, შესწევთ თუ არა უნარი ბიპოლარული მსოფლიოს დაშლის შემდეგ შექმნილ ვითარებაში მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს ერთობლივი ძალისხმევით დაიცვან მშვიდობა მსოფლიოს არამარტო ამ აფეთქებასაშიშ რეგიონში, რომლის მასშტაბების განვრცობა და მისთვის შესაძლო კონფესიური ხასიათიც არ არის გამორიცხული.

მიუხედავად დიდი სირთულეებისა, რასაც ჩეჩნეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტა აწყდება, კრიზისის მოწესრიგების რეალური შესაძლებლობა ფაქტობრივად უკვე გამოჩნდა. გასულ კვირას გროზნოს მოლაპარაკებაზე მოელოდნენ საბოლოო დოკუმენტის მიღებას, რომელიც შეეხებოდა პოლიტიკური ბლოკის საკითხებს. მაგრამ ჩეჩნეთის პოლიტიკურ სტატუსზე ჯერ კიდევ არსებული უთანხმოების გამო ხელმოწერა არ შედგა. თუმცა მხარეები ოპტიმისტურად არიან განწყობილი და ამ დოკუმენტის ხელმოწერას ერთ-ორ დღეში მოელიან. რუსეთის სამთავრობო დელეგაციის წევრმა არკადი ვოლსკიმ შაბათს გამართულ მოლაპარაკებას ნაყოფიერი უწოდა, მაგრამ განაცხადა, რომ ორივე მხარემ ორი დღე მაინც თავი უნდა შეიკავოს ინტერვიუს მიცემისაგან, რათა საინფორმაციო საშუალებებში არ მოხვდეს დამახინჯებული ინფორმაცია. თავის მხრივ, ჩეჩენთა დელეგაციის ხელმძღვანელმა უსმან იმაევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოლაპარაკება ჩვეულებრივი წესით გაგრძელდება. ფედერალური ხელისუფლება მზად არის ფართო დამოუკიდებლობა მიანიჭოს ჩეჩნეთს, ოღონდ, რუსეთის ფედერაციის ფარგლებში. დუდაევის წარმომადგენლები კი მოსკოვისაგან ჩეჩნეთის სრული დამოუკიდებლობის ცნობას მოითხოვენ. უსმან იმაევმა იმედი გამოთქვა, რომ სულ 27 პუნქტი დარჩა შესათანხმებელი და რომ ორშაბათს შესძლებენ დასკვნითი დოკუმენტის ხელმოწერას.

რუსეთის სამთავრობო დელეგაციის წევრმა, შინაგან საქმეთა მინისტრმა ანატოლი კულიკოვმა თქვა, რომ უკვე შეუდგნენ სამხედრო საკითხთა ოქმის რეალიზაციას. დამყარებულია რადიოკავშირი ჩეჩენთა შეიარაღებული ფორმირებების მეთაურებთან, რუსეთიც იწყებს ჩეჩნეთიდან ჯარების ეტაპობრივ გაყვანას, რასაც თან უნდა სდევდეს ჩეჩენთა შეიარაღებული ფორმირებების განიარაღების პროცესი.

ერთგვარ დისონანსად გაისმა ჩეჩენთა ლიდერის ჯოჰარ დუდაევის გამოსვლა იატაქვეშა ტელევიზიით. როგორც რადიოსადგური „თავისუფლება" გადმოსცემს, დუდაევს გროზნოს მოლაპარაკებაზე მიღწეული შეთანხმებები არ მიაჩნია სრულყოფილად და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჩეჩნეთი აღარ დაიდგამს რუსეთის უღელს, და დაიმუქრა კიდეც, რომ მას გააჩნია იარაღი, რომელსაც ერთბაშად ათასობით ადამიანის მოსპობა შეუძლიაო, მართალი ყოფილა რუსეთის სამთავრობო დელეგაციის წევრი არკადი ვოლსკი, როცა განაცხადა, რომ დუდაეველთა ბანაკში გარკვეული უთანხმოებაა.

როგორც ჯოხარ დუდაევის გაფრთხილება, ასევე ბუდიონოვსკის ტერორისტული აქციის თავკაცის შამილ ბასაევის მუქარა, რომ გროზნოს მოლაპარაკების ჩაშლის შემთხვევაში მას შეუძლია ბინარული, რადიაქტიური და ბიოლოგიური იარაღის გამოყენება. იმას ადასტურებს, რომ დღევანდელ მსოფლიოში ტერორისტული აქციები „დიდი პოლიტიკის" იარაღის ფორმასაც იღებს, აქედან გამომდინარე ყველა შედეგითურთ.

სომხეთის ოპოზიციური ძალების პროტესტი

სომხეთში ოპოზიციური, პარტიების **„სამართლიანობისათვის თანამშრომლობის კავშირმა, სარჩელით მიმართა რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს, ბათილად ცნოს ახალი კონსტიტუციის შესახებ რეფერენდუმის შედეგები, რომელიც 5 ივლისს გაიმართა.** ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, ახალ კონსტიტუციას ხმა მისცა ამომრჩეველთა 68 პროცენტმა. ოპოზიციის მონაცემებით სინამდვილეში მხოლოდ მოქალაქეთა 21 პროცენტმა დაუჭირა მხარი ძირითად კანონს. ამავე დროს სომხეთის კანონმდებლობით საყოველთაო კენჭისყრის შედეგები არ ექვემდებარება სასამართლო წესით განხილვას. მისი ბათილად ცნობა შეუძლია მხოლოდ ახალ რეფერენდუმს.

კომპრომისული პოზიცია

ყირიმის პარლამენტის ახალმა სპიკერმა ევგენი სუპრუნიუკმა განაცხადა, რომ აუცილებელია, ყირიმის პარლამენტი მოქმედებდეს უკრაინის კანონმდებლობის არიალში, მოლაპარაკების გზით წყვეტდეს პრობლემებს. დეპუტატების წინაშე გამოსვლისას მან თქვა, რომ პოლიტიკური დისკუსიებიდან უნდა გამოირიცხოს ყირიმის ტერიტორიული კუთვნილების თემა. რომ ნებისმიერი სხვა გზა ეროვნებათშორის კონფლიქტებისაკენ, ნახევარკუნძულზე ვითარების დესტაბილიზაციისკენ წაგვიყვანსო. როგორც იცით, ყირიმი თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში რუსეთის შემადგენლობაში შედიოდა და მხოლოდ 1954 წელს, მაშინდელი ხელმძღვანელის ნიკიტა ხრუშჩოვის ინიციატივით, უკრაინას გადაეცა. ყირიმის მოსახლეობის უმეტესობას რუსები შეადგენენ.

როცა ქვეყნის მომავლისათვის ზრუნავენ

თუ რაოდენ დიდ ყურადღებას უთმობენ ბელორუსიაში მოსწავლეთა განათლების, ცოდნის საკითხს ქვეყნის მომავლისათვის, დაადასტურა რესპუბლიკის პრეზიდენტის ალექსანდრე ლუკაშენკოს გამოსვლამ უმაღლეს სასწავლებლებში [illegible] გამოცდებთან დაკავშირებით. სახელმწიფოს ხელმძღვანელის მიერ დანიშნულ პირველი წერითი გამოცდის დღეს, მან პირდაპირი ეთერით მიმართა აბიტურიენტებს დამრიგებლური სიტყვით, უსურვა მათ წარმატება, პრეზიდენტმა პირადად დაასახელა თემები. ლუკაშენკოს განკარგულებით შესასვლელი გამოცდების პერიოდში შექმნილია სპეციალური კომისია, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები. კომისიის კონტროლი განხორციელდა წერითი სამუშაოების (როგორც ყველასათვის სავალდებულოს) „საგულდაგულოდ შემოწმებაზე. **როგორც ჩანს, პრეზიდენტი ცდილობს ნახევრად განათლებული მომავალი „სპეციალისტები" არ მოხვდნენ იქ, სადაც მათი ადგილი არ არის და სადაც ქვეყნისათვის მათ უდიდესი ზიანის მოტანა შეუძლიათ.**

ირაკლი ჯაფარიძე.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

პარტიებსა და მოძრაობებში

მოქალაქეთა. პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ქალები" წესდება

1. ზოგადი დებულებები

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ქალები" (შემდგომში — „გაერთიანებად" წოდებული) წარმოადგენს მოქალაქეთა მიერ დაფუძნებულ პოლიტიკურ გაერთიანებას, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს რესპუბლიკის „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების" კანონისა და მოცემული წესდების შესაბამისად.

1.2. გაერთიანება მოქმედებს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე.

1.3. გაერთიანება სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით, აქვს მრგვალი ბეჭედი, შტამპი, ბლანკი, სიმბოლიკა, ანგარიშები ბანკში (სავალუტოც) და სხვა ატრიბუტიკა. აქვს დროშა, გერბი, ჰიმნი. დევიზია: „საქართველო უპირველეს ყოვლისა"

1.4. გაერთიანების იურიდიული მისამართია: საქართველოს რესპუბლიკა, ქ. თბილისი...

2. მიზნები და ამოცანები

2.1. გაერთიანების საქმიანობის ძირითადი მიზანია: შექმნას საქართველოში არჩევნებისათვის ქალთა აღზევების საჭირო პირობები და ეფექტიანი მექანიზმი, რათა დამკვიდრდეს ქალი პარლამენტში, ქალი მთავრობაში, ქალი ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში.

2.2. ეს მიზანი გულისხმობს ქალთა ურთიერთობების შესაბამისი სტრუქტურის შექმნას, რომელიც ხალხთა შორის ნდობის განმტკიცების, ინტეგრაციისა და ჰუმანური ურთიერთდამოკიდებულების მნიშვნელოვანი არხი იქნება.

2.3. გაერთიანება იღვწის საქართველოს, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობისათვის, ჭეშმარიტი დემოკრატიის დამკვიდრებისათვის, ქართველი ხალხის გაერთიანებისათვის, პიროვნების თავისუფლების დაცვისათვის, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და საზოგადოებრივი სფეროების ეროვნული ღირებულებების განმტკიცებისათვის, ბავშვთა, მოზარდთა პრობლემების გადაჭრისათვის.

3. გაერთიანების წევრობა

3.1. გაერთიანების წევრი შეიძლება გახდეს საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე, რომელიც აღიარებს გაერთიანების წესდებას და პროგრამას, იხდის საწევრო გადასახადს.

3.2 გაერთიანების წევრს უფლება აქვს: არჩეულ იქნეს რომელიმე ხელმძღვანელ ორგანოში ან აირჩიოს სხვა, მოითხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია, ახსნა-განმარტების (წერილობით) საფუძველზე.

3.3. გაერთიანების წევრი ვალდებულია: მიიღოს მონაწილეობა გაერთიანების გადაწყვეტილებათა განხორციელებაში, დაიცვას მისი ინტერესები.

4. გაერთიანების სტრუქტურა

4.1. გაერთიანების უმაღლესი ორგანოა ყრილობა, რომელიც იმართება ორ წელიწადში ერთხელ.

4.2. პროგრამასა და წესდებაში ცვლილებები შეაქვს მხოლოდ ყრილობას, რაზედაც უნდა ეცნობოს მარეგისტრირებელ ორგანოს.

4.3. ყრილობა უფლებამოსილია თუ მას დელეგატთა 2/3 ესწრება, დელეგატთა დასწრების წესს განსაზღვრავს გამგეობა.

4.4. რიგგარეშე ყრილობის მოწვევის უფლება აქვს გამგეობას.

4.5. ყრილობა ისმენს თავმჯდომარის, გამგეობის ანგარიშს, იხილავს მათ საქმიანობას, გეგმავს მთავარ მიმართულებებს, სახავს სამომავლო გეგმებს, ირჩევს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს, მდივანს, გამგეობის და სარევიზიო კომისიის შემადგენლობას.

4.6. ყრილობებს შორის გაერთიანებას მართავს გამგეობა და თავმჯდომარე.

4.7. გამგეობის არჩევა ხდება ყრილობაზე, ოთხი წლის ვადით, მის შემადგენლობაში შედიან: თავმჯდომარე, მისი მოადგილე, მდივანი და წევრები, სულ 7-11 კაცი.

4.8. გამგეობის სხდომები იმართება 2-3 თვეში ერთხელ. გამგეობა იღებს ან რიცხავს წევრებს, ანაწილებს ფუნქციებს წევრთა შორის, იძლევა დავალებებს, შეიმუშავებს სხვადასხვა წინადადებებს, აგიტაცია-პროპაგანდას ეწევა მოსახლეობაში, ამტკიცებს პარლამენტის არჩევნებში მონაწილე კანდიდატთა სიას, დებს ან აუქმებს შეთანხმებებს. გამგეობის ნებისმიერი გადაწყვეტილება აუცილებელია ყველა წევრისათვის.

4.9. თავმჯდომარე წარმართავს გაერთიანების მუშაობას, იგი გაერთიანებას წარმოადგენს ხელისუფლებასთან, სხვადასხვა პოლიტიკურ გაერთიანებებთან. გამოდის გაერთიანების სახელით, მდივანთან ერთად ხელს აწერს ყველა დოკუმენტს, ნიშნავს საპარლამენტო ჯგუფის ხელმძღვანელს, პრეს-მდივანს, სარედაქციო-საგამომცემლო სამსახურის მეთაურს, საინფორმაციო საშუალებების რედაქტორებს, ირჩევს თანაშემწეს ან მრჩეველთა ჯგუფს.

4.10. თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს მისი მოადგილე.

5. სარევიზიო კომისია

5.1. სარევიზიო კომისია ამოწმებს წესდების დაცვას, ფინანსურ საქმიანობას, თითოეული ორგანოს ფუნქციონირებას, წევრთა საქმიანობას სულ ცოტა ერთი წლის პერიოდში.

5.2. სარევიზიო კომისიას და მის თავმჯდომარეს ირჩევს ყრილობა, კომისიის წევრთა რაოდენობაა 5-7 კაცი, კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს გამგეობის წევრი. კომისია შემოწმების შედეგებს აბარებს ყრილობას და გამგეობას.

6. სამხარეო ორგანიზაციები

6.1. სამხარეო ორგანიზაციები იქმნება საქართველოს კუთხეებში. სამხარეო ორგანიზაციის თავმჯდომარეს ნიშნავს გაერთიანების თავმჯდომარე გამგეობის თანხმობის შემთხვევაში.

6.2. სამხარეო ორგანიზაციები აგიტაცია-პროპაგანდას ეწევიან ადგილებზე მათი იდეოლოგიური პრინციპებიდან გამომდინარე. ახორციელებენ გაერთიანების გადაწყვეტილებებს და მოქმედებენ ამ წესდების ფარგლებში, მათ მჭიდრო კონტაქტი აქვთ მის გამგეობასთან, მათი კრებები იმართება ორ კვირაში ერთხელ, წევრის მიღება ან მიღების, ან გარიცხვის საკითხებს აგვარებს. სამხარეო ორგანიზაციის თავმჯდომარე, წინამდებარე წესდების შესაბამისად.

7. პრესა და საკუთრება

7.1. გაერთიანებაში მოქმედებს პრესცენტრი, რომელიც იღებს, აწვდის და ავრცელებს ინფორმაციას. მის საქმიანობას წარმართავს პრესმდივანი.

7.2. გაერთიანებას კანონით დადგენილი წესით უფლება აქვს იქონიოს ჟურნალი, არხი, ბიულეტენი, ბეჭდვითი ორგანო, გამომცემლობა.

7.3 გაერთიანების საკუთრებას შეადგენს უსასყიდლოდ გადაცემული ან მის მიერ მოპოვებული, კანონმდებლობით ნებადართული ყველა სახის ქონება, მის ფინანსებს შეადგენს საწევრო შენატანები, საგამომცემლო საქმიანობით მიღებული შემოსავლები. ფინანსებს განაგებს ხაზინადარი, რომელიც ანგარიშვალდებულია გამგეობისა და ყრილობის წინაშე.

8. ლიკვიდაციის წესი

8.1. გაერთიანების ლიკვიდაცია ხდება ყრილობის დადგენილებით, დელეგატთა 3/4-ის თანხმობით, — კანონით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

8.2. გაერთიანების ლიკვიდაციის შემდეგ, დარჩენილი ქონება ნაწილდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ხიდები

საჰაერო კავშირები ფართოვდება

საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტი სულ უფრო და უფრო აფართოებს თავის საჰაერო საზღვრებს. ჩვენს ავიალაინერებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გადაჰყავთ მგზავრები, ბიზნესმენები, რომლებიც იქაურ საქმიან ადამიანებთან ამყარებენ კონტაქტებს და ხელს უწყობენ რესპუბლიკის კულტურული თუ სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას.

წლეულს, კიდევ ერთ ახალ თანამშრომლობას ჩაეყარა საფუძველი. როგორც საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების უფროსმა ნუგზარ ბაბუაძემ თქვა, — ივნისში, უნგრეთის რესპუბლიკის ტრანსპორტის, კომუნიკაციისა და საწყლოსნო მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტის დელეგაციებს შორის გაიმართა მოლაპარაკება და გადაწყდა ორმხრივი ხელშეკრულების დადება, რომელიც პარაფირებულია დელეგაციათა ხელმძღვანელობის მიერ.

სულ მალე უნგრეთის და საქართველოს ავიასაწარმოები „მალევი“ და „ორბი“ განახორციელებენ რეგულარულ რეისებს უნგრეთსა და საქართველოში. ორივე ავიასაწარმოს შეუძლია განსაზღვრულ მარშრუტებზე შეთანხმებული საჰაერო მიმოსვლა აწარმოოს ნებისმიერი ტიპისა და კონფიგურაციის თვითმფრინავით. კვირაში შესრულდება სამი რეისი, უნგრეთის ტერიტორიაზე საქართველოს მოქალაქეების უვიზო შესვლა მოხდება, რაც ამ ეტაპზე მისასალმებელია.

მოხერხდა ორივე მხარის ტერიტორიიდან მესამე მხარის ტერიტორიაზე გადაფრენის უფლების მოპოვება.

ამის მიღწევაში დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკურმა წარმომადგენელმა უნგრეთის რესპუბლიკაში ალექსანდრე ფულარიამ.

ურთიერთგაგების მემორანდუმი უკვე მოქმედებს.

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ხელმძღვანელობა უმოკლეს დროში განახორციელებს რეგულარულ რეისებს ირლანდიაში, ჰოლანდიაში, ისრაელში, ბულგარეთში, ბელგიაში, საბერძნეთში. მიმდინარეობს მოლაპარაკება საჰაერო ტრანსპორტის დარგში შეთანხმებაზე, რაც გულისხმობს საფრანგეთში, ესპანეთში, იტალიაში, ავსტრიაში, ქუვეითში, ინდონეზიასა და შვეიცარიაში პირდაპირი საჰაერო კავშირების დამყარებას.

ლალი ძინძლაძე.

თბილისი. რუსთაველის პროსპექტი. ზაფხული.

სიმონ კილაძის ფოტო.

ყოფა

მოსახდენი უკვე მოხდა

საერთოდ მეზარება, როდესაც ადამიანს მხეცს, პირუტყვს, უწოდებენ. მაგრამ, ამჯერად სხვა სახელს ნამდვილად ვერ ვუწოდებ იმ ახალგაზრდებს, რომლებმაც ასეთი უზნეობა ჩაიდინეს...

ზოოვეტინსტიტუტის ოთხი სტუდენტი დილით სასწავლებელში მიდიოდა. ქალიშვილებმა ბარათაშვილის ხიდთან ავტომანქანა „უაზი“ გააჩერეს, რომელშიც თითქმის მათი კბილა ბიჭები ისხდნენ. ინსტიტუტამდე წაყვანა სთხოვეს.

გზაში ბიჭებს ეშმაკი შეუჩნდათ, „მარშრუტს“ გადაუხვიეს და გოგონები თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ვაშლოვანის მიმართულებით გააქანეს. იქ კი... ცივი იარაღის მუქარითა და ძალის გამოყენებით გააუპატიურეს.

როგორც იტყვიან, „საქმეში გავიდა“ 11 პიროვნება. 20-25 წლისანი არიან, ცხოვრობენ ვაშლოვანში, ბორბალოში, ერტისში. ძირითადად ყველა ეჭვმიტანილი დააკავეს, მიმდინარეობს გამოძიება, თუმცა...

რამდენიც უნდა დავაკავოთ, რამდენიც უნდა ვიძიოთ, — მოსახდენი უკვე მოხდა, — იმ ოთხი გოგონას ცხოვრება დასახიჩრდა, იმ თერთმეტი ბიჭის ცხოვრებაც გამრუდდა. ეს ჩვენი საერთო ტრაგედიაა. ახლა წუწუნი და სინანული გატეხილ კოკას ვეღარ გაამრთელებს, მაგრამ თუ ცოტათი თავს შევიწუხებდით, ამ უბედურებას ავიცდენდით.

არ დავიწყებ იმაზე ლაპარაკს, თუ რატომ გახშირდა ჩვენში ამ ბოლო წლებში გაუპატიურების ფაქტები. გახშირდა გაუგონარი ძალადობის, სისასტიკის გამოყენებით. ზოგი ასეთი ფაქტი დამნაშავის ლინჩის წესით გასამართლებით, ზოგი კი მსხვერპლის თვითმკვლელობით დამთავრდა. ნარკომანიის პარალელურად ეს ახალი სენიც გვერევა.

ამჯერად საკითხი ტრანსპორტს ეხება. როცა ნიკიტა ხრუშჩოვმა ყველა სასოფლო-სამეურნეო ტიპის დაწესებულება ქალაქგარეთ „გაიტანა“, მაშინ ეს ზოოვეტინსტიტუტი ვაკიდან კრწანისში, ლამის ტრიალ მინდორზე გადაისროლეს. კომუნისტების ხანაში ბენზინის ზღვა გვედგა, ავტობუსები ჩეჩქივით გვეყარა და იქ მიმოსვლა მაინც ჭირდა. დღ რა ავტობუსი, რის ავტობუსი...

დავფიქრდეთ ცოტა: კოლმეურნეთა მოედ ზოოვეტინსტიტუტამდე დილით ორიოდე სპეც ქანა გადის, რომელშიც პროფესორ-მასწავლებ ბაც ვერ ეტევა. და აი, ასობით სტუდენტი 4-5 კი 9-10 კილომეტრს ორთაჭალის ციხიდან ან რო „სამგორიდან“ ფეხით მიუყვება გ არის კიდევ... შემთხვევითი მანქანა, რაც მთავ იმედით, — იქნებ ისე წამიყვანონ, ფული არ თხოვონ....

ხანდახან „თბილის-სადახლოს“ ან „თბი კაზრეთის“ მატარებლებითაც სარგებლობდნენ. რსაა რკინიგზა, მაგრამ მაინც სარგებლობ დღეს აღარც ეს „შეღავათია“. რუსთავის „ექ სებმაც“ უღალატეს. ცენტრალურ ავტომაგისტ ზე ისინი არც კი ჩერდებიან კრწანისის გად ვევთან; თავიანთი მგზავრი ჰყავთ. სტუდენ დანახვაზე ელეთ-მელეთი მოსდით.

უკვე მთელი თბილისი გადაიჭედა კომერც ავტობუსებით (ან საიდან გაჩნდა ამდენი, — შეიძინეს, რით იყიდეს). დიდუბეში, მაგალი დაიბნევი, — იმდენი კომერციული ავტობუსი დის ათასი მარშრუტით, ათასი მიმართულ კრწანისისკენ კი, სადაც სტუდენტობაც და ტორობაც ლოდინით ილევა, პირს არავინ შ დაყაჭე სულ ცოტა ათასი კოლმეურნეთა მოე დე, შემდეგ — კომერციული „რაფით“ ორი სი ზოოვეტინსტიტუტამდე. უკან დაბრუნების ამდენი, — მორჩა და გათავდა!

სხვათა შორის, ამ ერთი წლის წინათ ზოოვე ტიტუტს „სპონსორები“ ეწვივნენ. მათ შორის ლამენტის დეპუტატებიც და პარტიათა წარმ დგენლებიც იყვნენ. გასაჭირი თითქოს გულთან იტანეს, დახმარება აღუთქვეს, მაგრამ... ტრანსპ დღემდე საშველი არ დააყენეს. ამასობაში კ როგორც ვთქვით, მოსახდენი უკვე მოხდა. რაღას დაველოდოთ? — მორიგ უბედურებას? ასე გავაგრძელებთ, ვფიქრობ, არც ეგ დააყოვ

ბონდო გულიაშვი

უზენაესი სასამართლოს დარბაზიდან

დახვრეტა—ქონების კონფისკაციით

1993 წლის 29 ოქტომბერს ქ. ხონაში უკანონო შეიარაღებული ფორმირების წევრები თავს დაესხნენ შ.ს სამინისტროს აკადემიის კურსანტებს, რომლებიც საზოგადოებრივ წესრიგს იცავდნენ. შეტაკებისას დაიჭრა ორი კურსანტი — ფ. ტყეშელაშვილი და თ. გურაშვილი. დაჯგუფების ერთ-ერთმა წევრმა შ. მინდაძემ გადაწყვიტა უმწეო, დაჭრილი კურსანტები სიცოცხლეს გამოესალმებინა. მან თავისა და გულმკერდის არეში ცეცხლსასროლი იარაღი ესროლა მათ და იმ იმედით, რომ განზრახვა სისრულეში მოიყვანა, შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ფ. ტყეშელაშვილი ადგილზევე გარდაიცვალა, ხოლო თ. გურაშვილი დროული სამედიცინო დახმარების შედეგად სიკვდილს გადაურჩა.

რამდენიმე ხნის შემდეგ მინდაძემ კვლავ ხელყო პოლიციის მუშაკთა სიცოცხლე — 1994 წლის 15 იანვარს მთვრალმა ბოროტმოქმედმა ცეცხლი გაუხსნა პოლიციელების ავტობუსს, რის შედეგადაც მძიმედ დაიჭრა ერთ-ერთი თანამშრომელი გ. ხალაძე. ოპერატიული სამძებრო ღონისძიებების შედეგად მინდაძე დააკავეს.

შ. მინდაძის ბრალდების საქმე საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში განსახილველად შემოვიდა შარშან, სექტემბერში. განსასჯელის ბრალი დანაშაულის ჩადენაში დადასტურდა. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ სასჯელის განსაზღვრისას გაითვალისწინა, რომ მას არ გააჩნდა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, დანაშაული ჩაიდინა მთვრალმა, წარსულში ნასამართლევი იყო ყაჩაღობისათვის, სცნო იგი განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად და შეუფარდა სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება — დახვრეტა, ქონების კონფისკაციით.

უზენაესი სასამართლოს პრესსამსახური.

ინფორმაცია

ადიღეამ ჰუმანური დახმარება გაუწია აფხაზ სეპარატისტებს

აფხაზური რადიოს ცნობით, გასულ კვირას სოხუმში ჩაიღწია ჰუმანურმა დახმარებამ ადიღეის რესპუბლიკიდან. მაიკოპიდან წამოსული სატვირთო ავტომანქანის კოლონა ფსოუზე ხანგრძლივი შეფერხების და შემოწმების შემდეგ გამოუტარებიათ საზღვარზე და სოხუმში ჩამოსულან. რვა სატვირთო ავტომანქანით აფხაზეთში ჩაუტანიათ ფქვილი, შაქარი, კარაქი, ტანსაცმელი, მედიკამენტები, წყალსაქაჩები და ა. შ. ვლადისლავ არძინბას მიუღია ადიღეის წარმომადგენლები და გულთბილი მადლობა გადაუხდია ჰუმანური დახმარებისათვის.

თენგიზ პაპკორია,
საქინფორმის კორ.

გაიტაცეს მწყემსი

საქინფორმის კორესპონდენტს შინაგან საქმეთა სამინისტროში აცნობეს, რომ 22 ივლისს ყაზბეგის რაიონში, თრუსოს ხეობიდან დაუდგენელმა ბოროტმოქმედებმა ავტომატების მუქარით გაიტაცეს სოფელ კობის კოლმეურნეობის მწყემსი და 500 სული ცხვარი.

ავტოკატასტროფამ ხუთი კაცი იმსხვერპლა

საქინფორმის კორესპონდენტს შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, რომ 20 ივლისს, 00 საათსა და 30 წუთზე [illegible] რაიონში ცენტრალურ ავტომაგისტრალზე [illegible] ავტობუსები „ლაზი“ და „იკარუსი“.

საუბედუროდ, არის მსხვერპლი. დაიღუპა ხუთი კაცი, არიან დაშავებულები.

ამ ფაქტის გამო დაიწყო გამოძიება.

აქცია დროებით შეწყდა

22 ივლისს დროებით შეწყდა ლტოლვილთა მჯდომარე აქცია, რომელიც 25 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა თბილისში საქართველოს პარლამენტის შენობის წინ.

აქციის საკოორდინაციო შტაბის გადაწყვეტილებით, აქცია შეწყდა მოსკოვში აფხაზეთის პრობლემებზე მოლაპარაკების დამთავრებამდე.

გადაწყდა, რომ აქციის მონაწილეთა დელეგაცია გაემგზავრა მოსკოვს მოლაპარაკებაზე.

გიორგი ყარყარაშვილი თავს კარგად გრძნობს

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრიდან აცნობეს, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა ვარდიკო ნადიბაიძემ და სამხედრო კოლეგიის წევრებმა თავის ბინაზე მოინახულეს გერმანიიდან დაბრუნებული გიორგი ყარყარაშვილი, რომელიც იქ სამკურნალოდ იმყოფებოდა. ამჟამად გიორგი თავს კარგად გრძნობს და როგორც თვითონ განაცხადა, სრული გამოჯანმრთელებისთანავე მზად არის განაგრძოს სწავლა მოსკოვის აკადემიაში.

გიორგი ყარყარაშვილმა მადლობა გადაუხადა თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას მისდამი გამოჩენილი მზრუნველობისა და თანადგომისათვის.

გაიხსნა სადღეღამისო აფთიაქი

თბილისის ცენტრში, დავით აღმაშენებლის გამზირზე 142-ში ფირმა „ციტოს“ ეგიდით გაიხსნა სადღეღამისო აფთიაქი (შესასვლელი პასტერის ქუჩიდან).

აფთიაქი უზრუნველყოფილია გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტებით. იგი დაკომპლექტებულია პროფესიონალებით, რომლებიც ავადმყოფებს გაუწევენ სათანადო კონსულტაციებს.

აღსანიშნავია, რომ აფთიაქში ზოგადსამკურნალო მედიკამენტების გარდა, არის ონკოლოგიური პროფილის თითქმის ყველა წამალი, რომლებიც შედარებით დაბალ ფასებში იყიდება, ამასთან ყველა მათგანს აქვს ხარისხის მოწმობა.

საქინფორმი.

ქველმოქმედება

„ფრანკო-ჯორჯია“—სრული სვლით

ალბათ, დანამდვილებით ვერავინ იტყვის, რამდენი ფირმა, ასოციაცია თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა დღეს საქართველოში, რომლებიც თავიანთი საქმიანობის უმთავრეს მიმართულებად ქველმოქმედებას სახავენ. სამწუხაროდ, ეს ქველმოქმედება ხშირად მხოლოდ წესდებაშია ჩაწერილი. ამიტომ, როდესაც ნამდვილ ქველმოქმედებასა და უანგარობას წააწყდები, სითბო და იმედი გავსებს.

საფრანგეთ-საქართველოს ერთობლივი ასოციაცია „ფრანკო-ჯორჯია“ უკვე მეოთხე წელიწადია მოქმედებს. მისი პრეზიდენტები არიან თბილისელი ექიმი ვანიკო ცხომელიძე და პარიზელი ექიმი ელისო ტარასაშვილი. ასოციაციის დამფუძნებელი ქალბატონი ელისო 20-იანი წლების ქართველ ემიგრანტთა მესამე თაობის წარმომადგენელია, მაგრამ ისტორიული სამშობლოს სიყვარული არ განელებია, ყოველმხრივ ცდილობს დაეხმაროს მას ამ ძნელბედობის ჟამს. „ფრანკო-ჯორჯია“ თავისი აქტივისტების საშუალებით საფრანგეთში მოქალაქეთა შორის აგროვებს მედიკამენტებსა და ტანსაცმელს და საქართველოში გზავნის (განსაკუთრებით დიდი წვლილი შეაქვთ ამ კეთილშობილურ საქმეში ქალბატონ ირენ გედევანიშვილსა და მის მეუღლეს ბატონ სირილ ავალს). უკვე ბევრი ასეთი ნობათი ჩამოიტანეს და დაარიგეს. გაწეული დახმარებისთვის „ფრანკო-ჯორჯიას“ სახელზე მრავალი სამადლობელო წერილია მოსული. მათ შორის ნახავთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის, „მემორიალის“ პრეზიდენტის აკადემიკოს მინდია სალუქვაძისა და სხვათა ბარათებს.

ამ დღეებში „ფრანკო-ჯორჯიამ“ სათნოების სახლ „კათარზისსა“ და კლუბ „გულანშაროსთან“ ერთად მშვენიერი საღამო გამართა. მოეწყო პროფესიონალი და თვითნასწავლი მხატვრების გამოფენა და კონცერტი, სადაც ცნობილი ჯგუფებისა და შემსრულებლების მხარდამხარ თავიანთი ხელოვნება წარმოადგინეს მოყვარულებმა. შესდგა ახალგაზრდული ანსამბლის „ფრანკო-ჯორჯიას“ (ხელმძღვანელი — მანანა გარუჩავა) დებიუტი, რომელმაც დამსწრე საზოგადოების შეფასებით საიმედო განაცხადი გააკეთა.

როგორც საფრანგეთ-საქართველოს ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა დავით ცხომელიძემ გვაცნობა, მსგავსი ღონისძიებები ხშირად გაიმართება.

ალექსანდრე ალექსიშვილი.

კინო

გიორგი შენგელაიას ახალი ფილ

უკვე მეტი ნაწილია გადაღებული ახალი მხატვრული ფილ „ორფევსის სიკვდილი“, რომლის დამდგმელი რეჟისორია გიო შენგელაია. კინოფილმის სცენარი დაწერა მან კინოდრამატ კოტე ჯანდიერთან ერთად.

— ჩვენი ფილმის სიუჟეტი გერმანელი კლასიკოსის ჰერმან სეს ნაწარმოებიდან „ტრამალის მგელი“ ვისესხეთ, და ეს შემთ ვითი არა ყოფილა, — თქვა რეჟისორმა. — მასში აღძრულია მანიაში ოციან წლებში ჩასახული ფაშიზმის პრობლემა, რომე მისთვის, როგორც ჰუმანისტი მწერლისათვის, სრულიად მი ბელი იყო. ეს ფაბულა მივუსადაგეთ ჩვენს უახლეს ისტორია ნაციონალიზმის დაწყებას საქართველოში. მე, ისევე როგორ ბევრ ჩემნაირს, რომლებიც ეროვნულსა და ზოგადსაკაცობრ ერთ დონეზე აყენებენ, ბუნებრივია, არ შევეწუხებინეთ ცალმ ვი ქართული ნაციონალიზმის პრობლემას. დღეს ჩვენში საზ დოებრივი შეგნების ჩასახვა ისეთ დონეზე მიმდინარეობს, მიმაჩნია: ხელოვნება აქტიურად უნდა ჩაერთოს ამ პროცესში. ამ თვალსაზრისით ჩვენი ფილმის ჟანრს განვსაზღვრავდი, როგ პოლიტიკურ პამფლეტს...

რაც შეეხება ფილმის მთავარ გმირს, რომელსაც ანსახიერ მსახიობი ზურაბ ყიფშიძე, უნივერსიტეტის პროფესორია, რო ლიც უპირისპირდება ასეთ ნაციონალიზმს, ასე რომ ამცირებს ამახინჯებს ადამიანის ბუნებას...

ფილმში მონაწილეობენ რუსთაველის სახელობის აკადემი თეატრის ახალგაზრდა მსახიობი ნინო კასრაძე, მსახიობები ზ ბეგალიშვილი, ქახი კავსაძე და სხვები.

სენსაციური გამარჯვება ამერიკაში!

ტრადიციული კარატეს ქართველი ოსტატები ამერიკის ღია ჩემპიონატზე იმსახურებენ 20 მედალს, მათი სენსეი — პაატა ჭელიძე კი ჩემპიონატის საუკეთესო მწვრთნელის დიდ ოქროს მედალს.

უკანასკნელ წლებში ჩვენი საზოგადოებრიობა ტრადიციული კარატეს ქართველ ოსტატთა არაერთი წარმატების მოწმე გახდა.

საქართველოს ტრადიციული კარატეს (ოკინავა გოჯუ-რიუ) ფედერაციის ეროვნულმა ნაკრებმა ჯერ კიდევ ამ სამი წლის წინათ ევროპის ჩემპიონატზე განაცვიფრა საბრძოლო ხელოვნების დიდოსტატებიც და ამ სპორტის მოყვარულნიც, როცა მან უკან ჩამოიტოვა ევროპის ქვეყნების სახელგანთქმული ჩემპიონები.

შემდეგ იყო აზიის ქვეყნების ჩემპიონატი, ჩინეთში — შაოლინის სამონასტრო კომპლექსის ეგიდით მოწყობილი უაღრესად პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრებმა მათი მწვრთნელის — საქართველოს ტრადიციული კარატეს ფედერაციის პრეზიდენტის, კავკასიაში მსოფლიო ფედერაციის მთავარი ინსტრუქტორის — პაატა ჭელიძის ხელმძღვანელობით ექვსი ოქროს მედალი და „კარატისტთა მექის“ — შაოლინის ტურნირის ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს.

აღსანიშნავია, რომ ტრადიციული კარატეს მსოფლიო ფედერაციის გადაწყვეტილებით, საქართველოს ეროვნულ ნაკრებს დაევალა, წარედგინა კარატეს ოკინავური სკოლის დიდი შესაძლებლობანი, რაც უმაგალითო მოვლენად იქცა თავად ოკინაველებისათვის.

შარშან ტრადიციული კარატეს მსოფლიო ჩემპიონატზე ამერიკაში ჩვენმა სპორტსმენებმა ხუთი მედალი და მესამე გუნდური ადგილი დაისაკუთრეს. ახლახან, ამერიკაში, ტეხასის შტატის ქალაქ ჰიუსტონში დამთავრდა პანამერიკის ღია ჩემპიონატი ტრადიციულ კარატეში, რომელშიც ამერიკის კონტინენტის წარმომადგენლებთან ერთად მიწვეულნი იყვნენ აფრიკის, ევროპის და მათ შორის საქართველოს ნაკრები გუნდები.

ჩემპიონატი 15 ივლისს დაიწყო. პირველი შეხვედრებიდანვე საქართველოს ნაკრები სპეციალისტებისა და მაყურებლების განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა.

მსოფლიოს, ევროპისა და საერთაშორისო ტურნირების ჩემპიონების — ალექსანდრე მაისურაძის, გიორგი ჯაილავას, გიორგი ჯაფარიძის, თეიმურაზ ბაქრაძის, მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორის ბათუმელი როინ ვარშანიძის, ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების წევრების: თენგიზ ბენდუქიძისა და ახალბედა ბათუმელი კარატისტის რუსლან აბაშიძის გამოსვლებს მქუხარე ოვაციით ეგებებოდა მაყურებელი. და... მოხდა ჩემპიონატის სენსაცია: — საქართველოს ნაკრების წევრებმა ჩემპიონატის 20 მედალი მოიპოვეს, მათ შორის 6 — ოქროსი. პანამერიკული ქვეყნების ჩემპიონის საპატიო წოდება ინდივიდუალურ ორთაბრძოლებში მოიპოვეს ალექსანდრე მაისურაძემ, თეიმურაზ ბაქრაძემ, შემდეგ მათვე გიორგი ჯაფარიძესთან და გიორგი ჯაილავასთან ერთად კიდევ სამი ოქროს მედალი შესძინეს ჩვენს ნაკრებს გუნდურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის. ქართველმა ოსტატებმა დიდი უპირატესობით სძლიეს ამერიკის, კანადის, მექსიკის, დანიის, სამხრეთ აფრიკის. ამერიკის ცალკეული შტატების ნაკრებ გუნდებს.

უმაგალითო წარმატებას მიაღწია ტრადიციული კარატეს ბათუმის ცენტრის ახალგაზრდა ოსტატმა რუსლან აბაშიძემ, რომელმაც ტრადიციული „კატების“ ასპარეზობაში ყველა მეტოქე დაჯაბნა და ჩემპიონატის ოქროს მედალი მოიპოვა.

ქართველმა ოსტატებმა მონაწილეობა მიიღეს, აგრეთვე არაკონტაქტური ბრძოლების — „შობუიპონის“ ინდივიდუალურ და გუნდურ ასპარეზობაში, რომელშიც ალექსანდრე მაისურაძემ, გიორგი ჯაილავამ, გიორგი ჯაფარიძემ, თეიმურაზ ბაქრაძემ, ბათუმელმა ოსტატმა როინ ვარშანიძემ 10 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს, რაც სერიოზულ წარმატებად უნდა მივიჩნიოთ.

ჩემპიონატის საზეიმო დახურვის ცერემონიალზე ტრადიციული კარატეს მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტმა, სახელგანთქმულმა ოკინაველმა დიდოსტატმა — მე-9-ე დანის მფლობელმა სენსეი ჰიგონამ საზეიმო ვითარებაში გადასცა საქართველოს ნაკრებს ჩემპიონატის ჯილდოები, მიულოცა უმაგალითო წარმატება ქართველ სპორტსმენებს და აღნიშნა: — ყოველწლიურად ვერ ვცნობ ქართველებს, ისინი არნახული ნაბიჯებით მიიწევენ წინ და შედეგსაც ყველა ხედავს. ეს უპირველეს ყოვლისა, — აღნიშნა მან, — მათი მწვრთნელის, ტრადიციული კარატეს დიდოსტატის სენსეი პაატა ჭელიძის დამსახურებაა, მან გამოაცხადა ჩემპიონატის საბჭოსა და მსოფლიო ფედერაციის გადაწყვეტილება კარატეს დიდოსტატის — სენსეი პაატა ჭელიძისათვის, როგორც ჩემპიონატის საუკეთესო მწვრთნელისათვის, დიდი ოქროს მედლის მინიჭების შესახებ და ეს საპატიო ჯილდო, რომელსაც სპორტის ამ სახეობაში მხოლოდ ერთეულები ფლობენ მსოფლიოში, საზეიმოდ გადასცა სენსეი პაატა ჭელიძეს.

მართლაც უმაგალითო წარმატებაა — ჩემპიონატის 20 მედალი სპორტსმენებს, ხოლო დიდი ოქროს მედალი მათ მწვრთნელს, როგორც ჰიუსტონის გაზეთები წერდნენ, ასეთი რამ მართლაც იშვიათობაა.

და ბოლოს, ერთი მნიშვნელოვანი დეტალი ჩემპიონატის საფინალო შეხვედრიდან... საქართველო — ამერიკის შეერთებული შტატები. ალექსანდრე მაისუ და გიორგი ჯაილავა დიდი უპ ტესობით ამარცხებდნენ ამერ მოწინააღმდეგეებს.

თეიმურაზ ბაქრაძე, კარ ორთაბრძოლაში მიღებული დული ქვესტით უარს ამბ ბრძოლაზე, რითაც ამერიკის გ ეძლევა საშუალება თავი და ოს მშრალ ანგარიშს. 2:1 — თია საქართველოსა და ამერ ნაკრები გუნდების საფინალო ხვედრის შედეგი.

ჩემპიონატის დასკვნითი დი — ჰიუსტონის „ვესტერ ლერეის“ სპორტული კომპლ საზეიმოდ ჟღერს საქართვე რესპუბლიკის ჰიმნი, აქ შეკრე ლი ათასობით მაყურებელი მ ლმება ჩემპიონებს — საქართ ლოს ნაკრებს, რომელმაც მ ლაც სენსაციური გამარჯვება მო პოვა.

ჰიუსტონიდან საქართველოს კრების წევრები გაემგზავრნენ პანეთში, ბარსელონაში, სადაც ნაწილეობას მიიღებენ ევრო ქვეყნების ტრადიციული კარა ნაკრები გუნდების შეხვედრა-ს ნარში, რომელსაც ჩაატარებს ხელგანთქმული ოკინაველი დი სტატი, მსოფლიო ფედერაც პრეზიდენტი სენსეი ჰიგონა.

საქართველოს ნაკრები 2 ა სტოს დაბრუნდება სამშობლო

გია პლატონიშვილ

ახალგაზრდული ნაკრები ესტონეთში

გუშინ ესტონეთის დედაქალაქ ტალინში სტარტი აიღო ევროპის ჩემპიონატის შესარჩევმა ნახევარფინალურმა ტურნირმა კალათბურთში ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებს შორის.

სხვა ნაკრებებთან ერთად აქ ასპარეზობს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუნდიც. როგორც ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა, თამაზ ოქრუაშვილმა განაცხადა, კალათბურთელებმა პასუხსაგები მატჩების წინ გაიარეს ნაყოფიერი მოსამზადებელი ციკლი „დინამოს“ კალათბურთელთა ბაზაზე. ამის შემდეგ გაირკვა იმ თორმეტი კალათბურთელის ვინაობა, ვინც გაემგზავრა ტალინში. ეს კალათბურთელები არიან: ირაკლი მაისურაძე, ჯაბა ანიკაშვილი, ვალერიან კილაძე, ლევან ქარაზაქი, დავით ბერძენიშვილი, არჩილ ძლენტი, რამაზ გოგობერიშვილი, ვლადიმერ ბეჟანიშვილი, ვახტანგ ნაცვლიშვილი, ალექსანდრე დავითულიანი, ვასილ ოთიურიძე, ირაკლი ხოშტარია.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ქვეჯგუფი საკმაოდ ძლიერია. აქ ჩვენი ნაკრების გარდა გამოდიან ხორვატიის, ესტონეთის, ისრაელის, საფრანგეთის, სლოვაკეთისა და დანიის ახალგაზრდული ნაკრებები, შემდეგ ეტაპზე კი პირველ-მეორე ადგილებზე გასულები გააგრძელებენ ბრძოლას.

ჩვენი ნაკრების კალენდარი ასეთია: 24 ივლისი: **საქართველო-ხორვატია**, 26 ივლისი: **საქართველო-ესტონეთი**, 27 ივლისი: **საქართველო-ისრაელი**, 28 ივლისი: **საქართველო-საფრანგეთი**, 29 ივლისი: **საქართველო-სლოვაკეთი**, 30 ივლისი: **საქართველო-დანია**.

შანსი გაიზარდა

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ, ფიბამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ 1997 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ხუთი ქვეჯგუფიდან შემდეგ ეტაპზე პირველ-მეორე ადგილზე გასულ გუნდებთან ერთად ბრ ლას გააგრძელებს ის ოთხი მ მე ადგილზე გასული ნაკრ რომელსაც აღმოაჩნდებათ სა თესო შედეგები. ეს კიდევ უ გაამძაფრებს ბრძოლას ქვეჯ ფებში.

შეგახსენებთ, რომ საქარ ლოს ნაკრები ასპარეზობს პი ველ ქვეჯგუფში ისრაელის, ს ვაკეთის, ბოსნიის, ბელორუ და საბერძნეთის ეროვნულ ნ რებებთან ერთად.

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოება „მოზარდის“
იურიდიულ-ფსიქოლოგიური ინსტიტუტი
აცხადებს მიღებას 1995-96 სასწავლო წლისათვის
იურიდიული ფაკულტეტის დღისა და საღამოს განყოფილებებზე
სპეციალობით სამართალმცოდნეობა

სავალდებულო იურიდიული დისციპლინების გარდა, დღის განყოფილების სტუდენტები თანამედროვე ამერიკული მეთოდებით დამუშავებული ტრენინგების მეშვეობით შეისწავლიან: ეჭვმიტანილის ფსიქოლოგიას, ბრალდებულის ფსიქოლოგიას, დამნაშავის ფსიქოლოგიას, არასრულწლოვანი დამნაშავის ფსიქოლოგიას, მოწმის ფსიქოლოგიასა და სხვა, ასევე მთლიანობაში ისწავლება ზოგადი და სასამართლო ფსიქოლოგია.

ინსტიტუტს გააჩნია კრიმინალისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია და ბიბლიოთეკა.

სწავლება ფასიანია. საბუთები მიიღება 5 აგვისტომდე ყოველდღე 10 საათიდან 14 საათამდე, გარდა კვირისა.

გამოცდები ჩატარდება ტესტებით შემდეგ საგნებში:
1) ქართული ენა და ლიტერატურა; 2) საქართველოს ისტორია.

უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლები ინსტიტუტში ჩაირიცხებიან უგამოცდოდ

საღამოს განყოფილებაზე ლექციები ტარდება შაბათსა და კვირას დღის საათებში. სწავლის ხანგრძლივობაა 5 წელი.

ინსტიტუტში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: საშუალო განათლების ატესტატი (დედანი); ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა 086); ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; ოთხი ფოტოსურათი (3X4-ზე).

ინსტიტუტის მისამართია: ქ. თბილისი, ტროსტენიკოვის ქუჩა 2,
(შესახვევი დავით აღმაშენებლის 119/1-თან) ტელეფონი: 95-28-64

ყურადღება!
სააქციო საზოგადოება „კაპიტალინვესტ-1“ განაგრძობს მეანაბრეთა სააქციო საზოგადოებაში ნებაყოფლობით გაწევრიანების მსურველთა რეგისტრაციას, 28 ივლისის ჩათვლით. მსურველებმა თან უნდა იქონიონ ქვითარი, ხელშეკრულება (ასლებით), პასპორტი.
მისამართი: უზნაძის ქ. № 68. განათლების სამინისტროს II კორპუსი, IV სართული, ტელ.: 95-88-18, 11-დან 18 საათამდე.

მორიგე რედაქტორი ლერი კიკნაძ

გამომცემელი - შპს „პრესა“
რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ვ. კოსტავას ქ. № 14. ინდექსი 66484. ტელ. 99-78-24.
მთავარი რედაქტორი ზურაბ გორგიაშვი